




**Brot**  
für die Welt



**ბავშვთა მოვლის  
სერვისების  
განვითარება -  
ქალთა დასაქმების  
ხელშეწყობისა და  
ოჯახში ძალადობის  
ეფექტიანი  
პრევენციისა და  
რეაბილიტაციისთვის**

**2021**  
სექტემბერი

ბავშვთა მოვლის სერვისების განვითარება -  
ქალთა დასაქმების ხელშეწყობისა და  
ოჯახში ძალადობის ეფექტიანი პრევენციისა და  
რეაბილიტაციისთვის

---

---

სექტემბერი, 2021

---

---

სარჩევი

ძირითადი შედეგები.....	3
შესავალი .....	4
მეთოდოლოგია.....	5
საკითხის კონტექსტი: .....	6
1. სიძუცია საქართველოში .....	6
2. სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები.....	9
3. საუკეთესო პრაქტიკა .....	13
4. დასაქმების და ბავშვთა მოვლის სერვისებისადმი წვდომა: ბარიერები და ხელშეწყობი ფაქტორები .....	15
5. კოლიტიკის ალტერნატივები.....	28
დასკვნა.....	36
რეკომენდაციები .....	36

---

---

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის  
Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის)  
ფინანსური მხარდაჭერით  
პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,  
არ გამოხატავდეს ღონისძიების ორგანიზაციის მოსაზრებებს

## ძირითადი შედეგები

საქართველო გაეროს კონვენციის „ბავშვთა უფლებების შესახებ“ ხელმომწერია, რომელიც ბავშვთა დასაქმებული მშობლებისთვის ნევერ სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მშობლებს უფლება ჰქონდეთ, ისარგებლონ განკუთვნილი სამსახურებით და ბავშვთა მოვლის დაწესებულებებით.

ჩვენს ქვეყანაში ქალებს დასაქმებაზე და, შესაბამისად, ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა აქვთ მამაკაცებთან შედარებით (უხილავი ეკონომიკური ძალადობა). ამას გარდა, კვლევების მიხედვით, რეგიონების მოსახლეობის 30.8%-ისთვის ბალების მომსახურება ხელმიუწვდომელია, რაც დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდვის მთავარი ფაქტორია. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში წარმოდგენილია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ეფექტური რეაგირების ბარიერები, რომლებიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან (მით უფრო, თავშესაფრიდან/კრიზისული ცენტრიდან გასვლის შემდგომ).

პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია სამართლებრივი ვალდებულებების და სტანდარტების ანალიზი (საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით), განხილულია ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები. ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის დასაქმებისა და ბავშვთა მოვლის სერვისებისადმი წვდომის ძირითადი ბარიერები და ხელშემწყობი ფაქტორები, როგორებიცაა, მაგ.: სამუშაო გრაფიკი და ბალის/სკოლის სამუშაო საათების მოქნილობა, დამსაქმებლის დამოკიდებულება მონყვლადი კატეგორიის ქალებისადმი, უწყვეტი საზაფხულო განათლების, დღის ცენტრების, ბაგა-ბალების არაფორმალური განათლების მიღების საჭიროება და ა.შ., რომელთა განხორციელება, ძირითადად, ორ ფაქტორზე დაიყვანება: ფინანსური და, შესაბამისად, ადამიანური რესურსების მობილიზება და სახელმწიფოს მხარდაჭერა. ეს კი შეუძლებელია მულტიდისციპლინური მიდგომის გარეშე, რაც მოიაზრებს კოორდინირებულ მუშაობას და თანამშრომლობას სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებას შორის.

პოლიტიკის ალტერნატივები და მისგან მომდინარე რეკომენდაციები მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის რიგი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გატარებას, რაც ეხება ბავშვის მოვლის სერვისების ხელმისაწვდომობის ბარიერების (მოუქნელი გრაფიკი, არასაკმარისი დაფინანსება და ადამიანური რესურსი, საკანონმდებლო ხარვეზები, დამსაქმებლების დაბალი მგრძობელობა მონყვლადი ჯგუფების მიმართ და ა.შ.) დაძლევა. პრობლემების აღმოფხვრის მთავარი ფოკუსი უნდა იყოს მონყვლადი კატეგორიის ქალებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, რაც შეძლებისდაგვარად გამორიცხავს მის ძალადობრივ გარემოში დაბრუნებას ან დარჩენას. ამიტომ მნიშვნელოვანია ქალების ცნობიერების ამაღლება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სტიგმისა და სტერეოტიპების მსხვერველს, არამედ მათი ინფორმირებულობის გაზრდას ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისის შესახებ. ეს პოზიტიურ გავლენას მოახდენს მონყვლადი კატეგორიის ქალების ძალადობის პრევენციისთვის ან მასზე რეაგირებისთვის საჭირო ცვლილებების (მათ შორის, საკანონმდებლო) დაგეგმვასა და ინიცირებაზე - რისთვისაც გადამწყვეტ წინაპირობას ბავშვთა მოვლის სერვისებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.



## შესავალი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2021 წლის მარტის მონაცემებით, 19-45 წლის პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების დაახლოებით მეოთხედს განუცდია ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა, სულ მცირე ერთხელ მაინც ცხოვრების მანძილზე (მაგ., ევროპაში პრევალენტობის მაჩვენებელია 22%). ძალადობასთან ბრძოლა და პრევენცია, ჯანმოს მიხედვით, საჭიროებს მულტისექტორულ მიდგომას, რაც მოიცავს: ადვოკატირებას; ქალთა გაძლიერების ხელშეწყობას; კომპლექსური სერვისების მიწოდებას (მათ შორის სერვისების მიმწოდებელთა ტრენინგს); ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და ა.შ.

დოკუმენტის ძირითადი მიზანია: ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მნიშვნელოვანი კომპონენტის - ქალთა დასაქმების ხელშეწყობი ფაქტორების გაანალიზება, რომლის შემადგენელი ნაწილია ბავშვთა მოვლის სერვისების გაუმჯობესება. გამოწვევების და ბარიერების ანალიზი და გაუმჯობესების მექანიზმების/ალტერნატივების ძიება.

ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი მაპროვოცირებელი გარემოება მოძალადეზე მატერიალური დამოკიდებულებაა.<sup>1</sup> აღნიშნული ფაქტორი პირდაპირ მიუთითებს ქალთა დასაქმების და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის საჭიროებაზე, რაც, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს მოქნილი და მსხვერპლ ქალებზე მორგებული სერვისების შეთავაზებაში. სხვადასხვა კვლევასა და დოკუმენტში ასახულია ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის შეთავაზებული სერვისების შემდეგი ხარვეზები: (i) მსხვერპლის საჭიროებაზე მორგებული სერვისების არარსებობა<sup>2</sup>; (ii) სერვისების შესახებ დაბალი ინფორმირებულობის დონე (მაგ., სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციარების 52% საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას ოჯახური ძალადობისგან დაცვის საშუალებების შესახებ (სანამ ბენეფიციარები გახდებოდნენ)); (iii) მოკლევადიანი და საჭიროებებზე არასრულად მორგებული სერვისები<sup>3</sup>.

აღნიშნული ხარვეზები ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალს მოძალადესთან დაბრუნებას ან ძალადობრივ გარემოში დარჩენას აიძულებს<sup>4</sup>. მართალია, სახელმწიფო არ აწარმოებს სტატისტიკას, თუ რამდენი მსხვერპლი ბრუნდება ოჯახში მოძალადესთან (ან რჩება

1 საია, „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები“, თბილისი, 2019 წ. გვ. 7, ხელმისაწვდომია - <https://gyia.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/geo-full.pdf>

2 ფონდი „სოხუმი“, „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თვითმმართველობების როლი და პრაქტიკა“, გვ. 49, 53, ხელმისაწვდომია - <http://www.fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/informatia-protiv-nasilia/item/1760-2021-01-31-16-59-06>

3 ფონდი „სოხუმი“, „მსხვერპლისთვის არსებული სერვისების მონიტორინგი“, გვ. 14, 16, 28, 36, ხელმისაწვდომია - <http://www.fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/informatia-protiv-nasilia/itemlist/search?searchword>



ოჯახში, ძალადობრივ გარემოში), მაგრამ ხშირად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მსხვერპლ ქალებს სხვა არჩევანი არ აქვთ და ვერ იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.<sup>5</sup>

## მეთოდოლოგია

გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები:

**თვისებრივი კვლევა:** სამაგიდე კვლევა (desk research) სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების მიხედვით (კვლევები, სტატისტიკა, ანგარიშები და ა.შ.). **11 ჯგუფური დისკუსია და 21 ჩაღრმავებული ინტერვიუ.** ჩატარების ადგილები - ქუთაისი, ბაღდათი, ვანი, სამტრედია, თერჯოლა, ნალენჯიხა, ზუგდიდი, სენაკი, ჩოხატაური, ქობულეთი. ფოკუს-ჯგუფების შემადგენლობა - ძალადობის მსხვერპლი, მარტოხელა, მრავალშვილიანი, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის, შშმ პირის და მცირეწლოვანი შვილების დედები. ჩაღრმავებული ინტერვიუების შემადგენლობა: სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისა და ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრის) წარმომადგენლები, SOS ბავშვთა სოფლის ოჯახის გაძლიერების პროგრამის დღის ცენტრის ლიდერი, სოციალური მუშაკი, ძალადობის მსხვერპლი, მარტოხელა და მცირეწლოვანი შვილების დედები, პედაგოგი, საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი, ორგანიზაცია „მერკურის“ სოციალური მუშაკი, საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი.

**რაოდენობრივი კვლევა:** სულ გამოკითხულია 534 რესპონდენტი 10 რეგიონში:

### ცხრილი №1

№	ქალაქი	რესპონდენტების რაოდენობა
1.	ვანი	51
2.	ბაღდათი	52
3.	სენაკი	50
4.	ტყიბული	51
5.	სამტრედია	77
6.	თერჯოლა	50
7.	ჩოხატაური	51
8.	ქობულეთი	51
9.	ნალენჯიხა	50
10.	ზუგდიდი	51

<sup>5</sup> ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში, 2015, გვ. 4-7, ხელმისაწვდომია - <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2015/geo%203.pdf?la=ka&vs=4603>



## საკითხის კონტექსტი:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, სასურველია, გულისხმობდეს არა მხოლოდ ქალთა შემოსავლებზე წვდომის გაზრდას, არამედ იმის განსაზღვრას, თუ რამდენად აკონტროლებენ და იყენებენ საკუთარ შემოსავლებს („ჰოლისტიური“ მიდგომა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა განისაზღვროს **ბარიერები**, რომლებიც ხელს უშლის ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. მკვლევრები გამოყოფენ რამდენიმე ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორს, მაგ.: კულტურული (პატრიარქალური) ნორმები, ღირებულებები და მამაკაცზე „მორგებული“ სტერეოტიპები (მაგ., ოჯახში დომინირება-დაქვემდებარებული როლები); განათლების მიღების და, შესაბამისად, კარიერული ზრდის შეზღუდვა; ბავშვთა მოვლის ხარისხიან სერვისებზე წვდომის შეზღუდვა; დასაქმების/ანაზღაურების გენდერული ასპექტები და უთანასწორობა, რესურსების (მაგ.: ფინანსური, ადამიანური) ნაკლებობა; საჯარო სექტორში არსებული სტრუქტურების კოორდინირების და მხარდაჭერის ნაკლებობა და ა.შ.<sup>6,7,8</sup>

აქვე ხაზი უნდა გაესვას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების **ხელშემწყობ ფაქტორებს**, რომლებიც UNICEF-ის კვლევის შედეგად გამოვლინდა: ბავშვის მოვლის ანაზღაურება, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სექტორებში დასაქმებულებისათვის, ბავშვებისთვის ხარისხიანი მოვლისა და ადრეული განათლების უზრუნველყოფა, სხვადასხვა ბენეფიტისა და ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფა და ა.შ.

## 1. სიბუჩია საქართველოში

გლობალური მონაცემების მსგავსად, საქართველოშიც განსხვავებულია ქალების და კაცების სამუშაო ადგილები, ანაზღაურება და სამუშაო პირობები<sup>9</sup>. ამას გარდა, ქალების მიერ ზრუნვის/მოვლის საქმიანობაში გატარებული დრო კაცებთან შედარებით მაღალია.

ქალებისთვის დასაქმებაზე და, შესაბამისად, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა (ან/და ხელმისაწვდომობის შეზღუდვა) შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „უხილავი ეკონომი-

6 Review of evaluation approaches and methods used by interventions on women and girls' economic empowerment. Georgia Taylor and Paola Perezniato. March 2014. p. 13 ხელმისაწვდომია - <https://www.researchgate.net/publication/263041749-Review-of-evaluation-approaches-and-methods-used-by-interventions-on-women-and-girls-economic-empowerment>

7 Progress on women's empowerment from technical fixes to political action Tam O'Neil, Pilar Domingo and Craig Valters. November 2014. p. 3-9. ხელმისაწვდომია - <https://gsdrc.org/document-library/progress-on-womens-empowerment-from-technical-fixes-to-political-action/>

8 Women's economic empowerment – Good practices from National employers' organizations & partner companies. p. 8-10. ხელმისაწვდომია - <https://www.ioe-emp.org/index.php?elD=dumpFile&t=f&f=131688&token=37b6a549d588eca5e1f273fd669e9e6bb8d44577>

9 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ბოლო 10 წლის განმავლობაში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი მამაკაცებისთვის შეადგენდა დაახლოებით 62-67%-ს და ქალებისთვის - 42-46%-ს. ქალების შრომის ანაზღაურება კაცების შრომის ანაზღაურებაზე ნაკლებია - 2019 წელს ქალთა საშუალო ხელფასი 869.1 ლარი იყო, კაცების კი - 1361.8 ლარი.

მიკუერი ძალადობა“, რაც მოიცავს სტერეოტიპებს (მაგ., საქსტატის მონაცემებით, კაცები ფლობენ და განკარგავენ თითქმის ყველა ტიპის აქტივის უფრო დიდ ნაწილს, როგორებიცაა: უძრავი ქონება, მიწა და მსხვილი ტექნიკა. გენდერული დისპროპორცია უფრო მეტად გამოხატულია სოფლად); ქალების აუნაზღაურებელ შრომას (ბავშვის მოვლა/საოჯახო საქმეები - უთმობენ კვირაში 45 საათს); საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობას/არარსებობას ძალადობის შესახებ შესაბამის სამსახურებში თუ დახმარების ცენტრებში მიმართვის თვალსაზრისით<sup>10</sup>; დამსაქმებლების გაუცნობიერებელ და გულგრილ დამოკიდებულებას - ისინი ვერ ხედავენ და ვერ აღიქვამენ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საჭიროებას.

ევროკავშირის 27 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა დასაქმებული დედების ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვის პოზიტიური როლი - ზოგადი კეთილდღეობის განცდის, თვითრეალიზაციის პირდაპირპროპორციული კავშირი დასაქმებასთან<sup>11</sup>. საქართველოში არსებული კვლევები კი მიუთითებს, რომ მაგ., შესწავლილი რეგიონების მოსახლეობის 30.8%-ს არ ჰქონდა წვდომა საბავშვო ბაღებზე, რაც ქალებს უზღუდავს საქმიანობაში ჩართვის და ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობას<sup>12</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სამოქმედო გეგმის“ შეფასებისას ხაზგასმულია რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომლებიც წარმოადგენს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების ძირითად ბარიერებს<sup>13</sup>:

- სახელმწიფოს არ აქვს შეთავაზებული სპეციალური პროგრამები მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლებისთვის. ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამები ვერ უზრუნველყოფს მათ სრულყოფილ სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას;
- გამოხატულია ინფორმირებულობის დაბალი დონე ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო სერვისების შესახებ;
- იკვეთება ეკონომიკური ძალადობის გამოვლენის სირთულე (გენდერული პერსპექტივით იდენტიფიცირება);
- ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მომუშავე სხვადასხვა უწყებას შორის არსებობს კოორდინაციის პრობლემა;

10 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, UN Women 2017, გვ. 6-19

11 სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის, თბილისი, 2014 წ., გვ. 6, გვ. 27-34, ხელმისაწვდომია - <https://gyla.ge/files/news/სამოქმედო%20გეგმების%20ანალიზი%20ქალთა%20დასაქმების%20ხელშეწყობის%20კუთხით.pdf>

12 გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, იანვარი, 2018, გვ. 28. ხელმისაწვდომია - <https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic-governance/gender-equality-in-georgia.html>

13 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ“, 2020, გვ.185 – 205, ხელმისაწვდომია - <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>



- არ არის დანერგილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მომსახურების მიზნობრივი სერვისები;
- არ ხდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და არ არის მკაფიოდ აქცენტირებული მაგ., მარტოხელა დედების ეკონომიკური გაძლიერების საკითხი (განსაზღვრულია მხოლოდ ადგილზე, მომენტალური დახმარების საკითხი და არა გრძელვადიან პერსპექტივაში მსხვერპლის ეკონომიკური უზრუნველყოფა);
- არ არის გათვალისწინებული დასაქმებული დედების საჭიროებები, მაგ., არ არსებობს მოქნილი სამუშაო გრაფიკისა და პირობების გეგმა;
- ცვლილება არ შეხება კერძო სექტორში ე.წ. დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხს და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერები განსაკუთრებით მძაფრად იჩენს თავს ძალადობის მსხვერპლი ქალების წინაშე თავშესაფრიდან/კრიზისული ცენტრიდან გასვლის შემდგომ, როდესაც ქალები დამოუკიდებლად უმკლავდებიან ყველა გამოწვევას. განსაკუთრებით კი, როდესაც არჩევანის გაკეთება უნევთ მცირენლოვანი შვილების მოვლასა და პროფესიულ განვითარებას/დასაქმებას შორის. UN WOMEN-ის 2018 წლის<sup>14</sup> და ფონდი „სოხუმის“<sup>15</sup> ანგარიშებში ასახულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ქალთა სამუშაო ძალაში მონაწილეობას გაზრდის და, შესაბამისად, შეამცირებს მონყვლადობას ოჯახური ძალადობის მიმართ: ა) საბავშვო ბაღების და ბავშვთა მოვლის სერვისების ხელმისაწვდომობა (მათ შორის, გეოგრაფიული), ხარისხი, ფასის და სამუშაო დროის (18 საათის შემდგომ) თვალსაზრისით; ბ) დამსაქმებლის მხრიდან მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზება.

სხვადასხვა კვლევა და საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს მულტიდისციპლინური მიდგომის ეფექტურობაზე, რაც გულისხმობს მსხვერპლის მხარდაჭერისათვის მულტისექტორული სერვისების შექმნას. ეს კი ნიშნავს არა მხოლოდ არსებული მომსახურებების გაფართოებას, დახვეწას და კოორდინირებას, არამედ სპეციალური პროგრამების შექმნას ბავშვებისთვის, საგანმანათლებლო კომპონენტს, პროფესიულ გადამზადებას და ა.შ.<sup>16</sup>

14 ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში (women's economic inactivity and informal employment), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), თბილისი, საქართველო, 2018, გვ. 6-9, ხელმისაწვდომია - <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/womens%20economic%20inactivity%20and%20inf%20employment%20georgiageo.pdf?la=ka&vs=3009>

15 ფონდი „სოხუმი“, მსხვერპლისთვის არსებული სერვისების მონიტორინგი, გვ. 15, ხელმისაწვდომია - <http://fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/informatia-protiv-nasilija/item/1763-2021-01-31-16-59-06>

16 ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკ-ფაქტორები, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, 2017 წ., გვ. 3-9, ხელმისაწვდომია - <https://gyla.ge/files/news/2006/untitled%20folder/ძალადობრივი%20ქცევის%20გამომწვევი%20რისკ%20ფაქტორები.pdf>



## 2. სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები

### 2.1. საერთაშორისო კანონმდებლობა

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ეკონომიკური გაძლიერება, როგორც ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი, კვლავ დიდ გამოწვევას წარმოადგენს როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოსთვის.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ თვისებრივად ახალ ეტაპზე საქართველო 2017 წელს გადავიდა, როცა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ვეროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია)<sup>17</sup> რატიფიცირება მოახდინა. ეს არის პირველი საერთაშორისო, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი ინსტრუმენტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა<sup>18</sup>, რაც კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებით მიიღწევა. კერძოდ, სახელმწიფომ აიღო პოზიტიური ვალდებულება, გამოეყოს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსები ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით<sup>19</sup>.

სწორედ მსხვერპლთა დაცვასა და მხარდაჭერას ეთმობა კონვენციის მე-4 თავი, რაც მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც უკავშირდება სპეციალიზებული და ზოგადი მხარდაჭერის მომსახურების ჩამოყალიბებას. კონვენციის მე-18 მუხლი ადგენს მთელ რიგ ზოგად პრინციპებს, რომლებიც ყურადსაღებია მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების მიწოდებაზე. მესამე პუნქტი კი კონკრეტულად მოითხოვს, რომ გატარებული ზომები ქალთა უფლებამოსილების გაზრდასა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას უნდა ისახავდეს მიზნად, ამასთან, საშუალებას იძლეოდეს, სადაც ეს მიზანშეწონილია, დაცვისა და მხარდაჭერის სხვადასხვა სამსახური ერთსა და იმავე შენობაში იყოს განთავსებული და ითვალისწინებდეს მონყვლადი პირების<sup>20</sup>, მათ შორის, მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს და ხელმისაწვდომი იყოს მათთვის.<sup>21</sup> მხარეებმა დაზარალებულთათვის აღნიშნული მომსახურებების ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ დამოუკიდებლად, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საჭიროების შემთხვევაში ეს სერვისები უსასყიდლოდ უნდა შესთავაზონ. გარდა ამისა, სტამბოლის კონვენციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს

17 ვეროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“), ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

18 იქვე, მუხ.1 ბ.გ.

19 იქვე, მუხ. 8

20 იქვე, გვ. 46. მონყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან: ორსული ქალები და ბავშვები, შშმ პირები, მათ შორის ფსიქიკური ან კოგნიტური დარღვევების მქონდე პირები; მეძავები; ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები; მიგრანტები, მათ შორის, დოკუმენტის გარეშე მცხოვრები მიგრანტები და ლტოლვილები; გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირები; აივ-ინფექციით დაავადებული პირები; უსახლკაროები, ბავშვები და მოხუცები.

21 კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ვეროპის საბჭო, გვ.51-52, ხელმისაწვდომია - <https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5>



ზოგადი მხარდაჭერის მომსახურებას, რაც გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მიერ შეთავაზებულ დახმარებას, როგორცაა სოციალური მომსახურება, ასევე - ჯანდაცვისა და დასაქმების სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიან დახმარებას. ამ მუხლში საგულისხმო ისაა, რომ ეს მომსახურებები შექმნილია არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ საზოგადოების სხვა წევრთა ინტერესების გათვალისწინებითაც.<sup>22</sup>

საქართველო „ბავშვთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის ხელმომწერია, რომელიც წევრ სახელმწიფოს პოზიტიურად ავალდებულებს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დასაქმებულ მშობლებს უფლება ჰქონდეთ, ისარგებლონ ბავშვთა მოვლის დანესებულებებით<sup>23</sup>. ხოლო ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პირველი ნიშანდობლივი საერთაშორისო აქტის გაეროს კონვენციის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-11 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს სახელმწიფოსთვის იმ ვალდებულებებს, რაც საჭიროა დასაქმების სფეროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რომელთა შორისაცაა მშობელთა ნახალისება საჭირო დამატებითი სოციალური მომსახურების განვითარებით - კერძოდ, საბავშვო დანესებულებების ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით, რათა მათ მიეცეთ ოჯახური მოვალეობების შესრულების შრომით საქმიანობასთან შეთავსების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება.<sup>24</sup> ამასთან, კონვენცია ცალკე გამოყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შემდეგი უფლებების უზრუნველყოფის ჩამონათვალს: ა) საოჯახო დახმარების უფლება; ბ) ფულადი სესხები, უძრავი ქონების გირავნობის სესხის და სხვა ფორმის საფინანსო კრედიტების მიღების უფლება; გ) დასვენებასთან, სპორტულ მეცადინეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის უფლება.<sup>25</sup>

საერთაშორისო შრომის სამართლის ძირითადი წყაროა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები და რეკომენდაციები. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია ILO-ს 17 კონვენცია.<sup>26</sup> მათ შორის ყურადსაღებია ILO-ს კონვენცია „დასაქმების პოლიტიკის შესახებ“, რომელიც მონაწილე მხარეებს ავალდებულებს აქტიური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირების, ცხოვრების დონის ამაღლების, მუშახელით დაკმაყოფილებისა და უმუშევრობისა და არასრული დასაქმების ლიკვიდაციის მიზნით.<sup>27</sup>

22 კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, გვ. 53, ხელმისაწვდომია - <https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5>

23 გაეროს კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“, მუხ.18(3), ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

24 გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, ხელმისაწვდომია - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

25 იქვე, მუხ.13

26 საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017, ხელმისაწვდომია - <https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed-dialogue/---lab-admin/documents/publication/wcms-627047.pdf>

27 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია „დასაქმების პოლიტიკის შესახებ“, ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212988?publication=0>

შრომის სამართლის მარეგულირებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის საგულისხმოა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის III ნაწილი დეტალურად განსაზღვრავს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებას, თუ რა უნდა გააკეთონ თითოეული ადამიანის შრომის უფლების დასაცავად.<sup>28</sup>

## 2.2. ეროვნული კანონმდებლობა

სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ეხმიანება ეროვნული კანონმდებლობაც. სწორედ სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, 2017 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს 25 საკანონმდებლო აქტში, მათ შორის მნიშვნელოვნად გაფართოვდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროც. კანონით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებიც განისაზღვრა, რომლის მიზანია მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა<sup>29</sup>. ხოლო მე-6 მუხლი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმებს განსაზღვრავს, რაც გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ. ამისათვის კი საჭიროა იმ ფაქტორების ანალიზი, შესწავლა და შეფასება, რომლებიც განაპირობებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობას.<sup>30</sup>

გარდა ამისა, საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაზარალებული, არამედ ნებისმიერი ორსული და მეძუძური დედისთვის სამუშაო ადგილზე ხელსაყრელი პირობების შექმნას, რაც გამორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან გარემოში, აგრეთვე ღამის საათებში.<sup>31</sup>

2019 წელს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის - „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“ მიზანია ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა. კოდექსის 28-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის საჭიროებას. კერძოდ, ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ინდივიდუალურად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და მისი ოჯახის მდგომარეობაზე უნდა იყოს მორგებული და ის შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ღონისძიებას, მათ შორის:

28 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ნაწილი III, ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0>

29 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ. 2.დ., ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=19>

30 იქვე, მუხ.6.1, 2(ა)

31 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 6(4), ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>



- ✓ მშობლისთვის პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზებას.
- ✓ დამხმარე სოციალურ სერვისებს (დღის ცენტრი, მედიაციისა და შერიგების სერვისები ოჯახური დავის დროს, მკურნალობის კურსი ალკოჰოლიზმის, ნარკოტიკზე დამოკიდებულების ან სხვა ფსიქოემოციური საჭიროების დროს, სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა დასაქმებული და მარტოხელა მშობლისთვის), მათ შორის, თემზე დაფუძნებულ სერვისებს.<sup>32</sup>

შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით<sup>33</sup>. 2020 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით, სადაც განსაკუთრებით საგულისხმოა შვებულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის (ე. წ. დეკრეტული შვებულება) გამო. ასევე შესაძლებელი გახდა ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დღეების გადანაწილება ბავშვის დედასა და მამას შორის.

ამასთან, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი, სპეციალური კანონი (lex specialis) „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო საქმიანობას, განსაზღვრავს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს<sup>34</sup>. კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს სწორედ დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების ინდივიდუალიზაცია წარმოადგენს. მოწყვლადი ჯგუფისა და მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობის მიმართ, რომლებსაც დასაქმების ხელმისაწვდომობაში სირთულეები ექმნებათ, სახელმწიფო უზრუნველყოფს განსაკუთრებული მიდგომების გამოყენებას<sup>35</sup>.

ამასთან, საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ საშემოსავლო გადასახადით არ ბეგრავს მარტოხელა დედის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ დასაბეგრ შემოსავალს 3000 ლარამდე<sup>36</sup>.

32 საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხ. 28 (5, დ, ე), ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>

33 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხ. 1(1), ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=19>

34 საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, მუხ.1, ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924109?publication=1>

35 იქვე, მუხ. 5(2), ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924109?publication=1>

36 საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მ82.2პ.ა.გ, ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=175>

საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, კვლავ პრობლემად რჩება მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი მდგომარეობის საკითხი, რადგან სახელმწიფოს არ აქვს შეთავაზებული მათი სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სპეციალური პროგრამები, ხოლო ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამები ვერ უზრუნველყოფს მათ სრულყოფილ მხარდაჭერას. მისივე შეფასებით, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღება საჯარო სექტორში, რადგან 2020 წელს ამ უფლებით მხოლოდ ქალებმა ისარგებლეს<sup>37</sup>.

სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის მთავრობის მიერ არ არის დამტკიცებული „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ახალი სამოქმედო გეგმა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალ სამოქმედო გეგმაში მეტი აქცენტი გაკეთდეს ქალის ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ქალთა საჭიროებაზე მორგებული, ბავშვთა მოვლის არსებული მომსახურებების გაძლიერების და ახალი სერვისების დანერგვის ხელშეწყობაზე.

### 3. საუკეთესო პრაქტიკა

რას გვთავაზობს საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა ქალთა დასაქმების ხელშეწყობის და ეკონომიკური გაძლიერების კუთხით? რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკების ანალიზის მიხედვით გამოიყო ორი ძირითადი ფაქტორი, რასაც საუკეთესო პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს: (i) ბავშვთა მოვლის სერვისების მრავალფეროვნება და (ii) დასაქმებული ქალებისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის საჭიროება.

**ამერიკის მაგალითი** - ბავშვთა მოვლის სერვისების სხვადასხვა ტიპი: ბავშვის მოვლა სამუშაო ადგილზე (on-site); მხარდამჭერი სერვისი (back-up care) – რაც საშუალებას აძლევს მშობელს, ბავშვის ავადობის ან არდადეგების პერიოდში მიიღოს დღის ცენტრის მომსახურება; საზაფხულო სკოლის და არდადეგების დროს მომსახურება; იმ მშობლების ხელშეწყობა, რომელთაც არასტანდარტული სამუშაო გრაფიკი აქვთ; რესურსები და რეფერირება - დამსაქმებელი უკავშირდება ბავშვთა მოვლის სააგენტოებს და არჩევს საუკეთესო და მოქნილ ვარიანტს თანამშრომლებისთვის; ბავშვთა მოვლის კომპენსაცია (ფასდაკლება ცენტრის მომსახურებაზე ან კომპენსაციის გაცემა) და ა.შ.<sup>38</sup>

**უკრაინის მაგალითი:** საქართველოს მსგავსად, უკრაინაში ქალების დიდი ნაწილი იმყოფება სამუშაო ძალის გარეთ და მამაკაცებთან შედარებით დაბალ ანაზღაურებას იღებს. მიუხედა-

37 საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში, 2020, გვ. 190. ხელმისაწვდომია - <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

38 MEETING THE NEEDS OF TODAY'S WORKFORCE: CHILD CARE BEST PRACTICES U.S. Department of Labor Alexis M. Herman, Secretary 1998. პ. 5-25. ხელმისაწვდომია - <https://files.eric.ed.gov/fulltext/ED433139.pdf>



ვად იმისა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალს გარკვეული ბენეფიტებით<sup>39</sup>, ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია ისეთი სამუშაო პირობების შექმნა, როდესაც შესაძლებელი იქნება სამუშაოს და საოჯახო ვალდებულებების დაბალანსება. სწორედ ამ მიზნით, 2008 წელს სახელმწიფოსა და დამსაქმებელთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ოჯახთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების, ნორმების და შრომითი ურთიერთობების შეთანხმების საფუძველზე. კარგი პრაქტიკა გულისხმობს მოქნილ სამუშაო გრაფიკს, რაც დასაქმებულს საშუალებას აძლევს, იმუშაოს მისთვის მოსახერხებელ საათებში ან სახლიდან. ზოგიერთმა კომპანიამ გახსნა ბავშვთა მოვლის დაწესებულება მათი თანამშრომლებისათვის, ან დააფინანსა მსგავსი დაწესებულებები. 14 წლამდე ბავშვის მომვლელისთვის განსაზღვრულია 1 საათით შემცირებული სამუშაო დღე, რომელიც ჩაითვლება სრულ სამუშაო დღედ და ა.შ<sup>40</sup>.

**საქართველო: „SOS ბავშვთა სოფლის“ ოჯახის გაძლიერების პროგრამის დღის ცენტრი.** ცენტრი გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტია (სახელმწიფოს (მაგ., მერიის) თანადაფინანსებით), მდებარეობს ქუთაისში. იგი ფუნქციონირებს 1-დან 3 წლამდე ბავშვებისთვის და 20 ბენეფიციარზეა გათვლილი. დღის ცენტრის სამუშაო საათები 09:00-დან 21:00-მდეა, დასვენების დღეების გარეშე (გამონაკლისია სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული უქმე დღეები და აგვისტო). მშობელს აქვს თავისუფალი არჩევანი, მიიღოს სერვისი დღის იმ მონაკვეთშიც, რომელსაც საჭიროებს (და არა 12 საათის განმავლობაში). ცენტრი უზრუნველყოფს ბენეფიციარებს ოთხჯერადი კვებით. გრაფიკი, კვების მენიუ და ყველა სხვა მომსახურება ინდივიდუალურად მორგებულია თითოეულ ბენეფიციარზე. ცენტრში დასაქმებულია თანამშრომელთა ორი სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ ცვლებში. დღის ცენტრში მოხვედრა შესაძლებელია სოციალური მუშაკის მიერ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ან ძალადობის მსხვერპლი ოჯახების შეფასების შემდგომ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. ცენტრის მომსახურება ხელმისაწვდომია თავშესაფარში მყოფი მონყვლადი კატეგორიის დედებისთვისაც. იმის გამო, რომ დამსაქმებლები ნაკლებად ითვალისწინებენ მონყვლადი კატეგორიის დედების მდგომარეობას, ცენტრს შეუძლია, მოლაპარაკება აწარმოოს მათთან (სამუშაოს დაწყების 10-15 წუთით გადატანაზე), რაც ხშირად წარმატებით სრულდება.

**კომპანია „მეიჯერელი“** საქართველოში ფუნქციონირებს 2016 წლიდან და ამჟამად სამი ოფისითაა წარმოდგენილი (ორი თბილისში, ერთი - ქუთაისში). კომპანიის პოლიტიკა

39 შემწეობა ბავშვის დაბადებისას (birth allowance), რაც გულისხმობს მატერიალურ გარანტიებს ბავშვის მომვლელისთვის, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ანაზღაურებადი სამუშაო; ანაზღაურებადი შვებულება ბავშვის მოვლის გამო - გაიცემა იმისგან დამოუკიდებლად, დაზღვეულია თუ არა დასაქმებული სახელმწიფო დაზღვევით. მშობლის შვებულება ბავშვის მოვლის გამო ეძლევა ერთ-ერთ მშობელს 3 წლით.

40 Good practices and challenges on the Maternity Protection Convention, 2000 (No. 183) and the Workers with Family Responsibilities Convention, 1981 (No. 156): A comparative study. Working paper 2/2012, p. 6-16 p.142-150. ხელმისაწვდომია - <https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms-192554.pdf> by Adrienne Cruz

მცირეწლოვანი ბავშვების მშობელთა მიმართ განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტებით (შინაგანაწესი, პროცედურები). ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება მოიცავს 9 თვეს: პირველი 6 თვის განმავლობაში ანაზღაურდება სრულად (დამატებით, თანამშრომელს ეძლევა ბონუსი იმ ოდენობით, რაც მან გამოიმუშავა დეკრეტულ შვებულებაში გასვლამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში (საშუალო მაჩვენებლის გამოთვლით)). შემდეგი სამი თვის განმავლობაში დეკრეტულ შვებულებაში მყოფ ქალს ეძლევა ანაზღაურების 50%. ამას გარდა, ანაზღაურებადი შვებულების დღეები შეუძლია გამოიყენოს სურვილისამებრ, მაგ.: დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ. კანონით გათვალისწინებული, ბავშვის მოვლის არაანაზღაურებადი შვებულების გამოყენების შემთხვევაში, მათი სამუშაო ადგილები შენარჩუნებულია. ორსული, მეძუძური დედებისთვის, ასევე მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისთვის გათვალისწინებულია მოქნილი სამუშაო გრაფიკი - სრულად ან ნაწილობრივ დისტანციური რეჟიმი. კომპანია „მეიჯერელი“ ამჟამად მუშაობს საკითხზე, რომ აღნიშნული კატეგორიის დედებისთვის და/ან მამებისთვის პანდემიის შემდგომ ე.წ. ჰიბრიდული სამუშაო გრაფიკი შენარჩუნდეს. ამას გარდა, კომპანია იცავს საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი 24, პ.6 და მუხლი 28, პ 3-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მეძუძური დედისთვის (1 წლამდე ბავშვის დედა) მოკლე სამუშაო დღის და ორსულის, მეძუძური დედის და 3 წლამდე ბავშვის მშობლისთვის ღამის სამუშაოს შეზღუდვის შესახებ.

## 4. დასაქმების და ბავშვთა მოვლის

### სერვისებისადმი წვდომა:

### ბარიერები და ხელშეწყობი ფაქტორები

#### 4.1. ძირითადი ბარიერები

ჩალმავებული ინტერვიუების და ჯგუფური დისკუსიების ანალიზიდან ვლინდება, რომ კვლევაში მონაწილე ქალების (ძალადობის მსხვერპლი, მარტოხელა, მრავალშვილიანი, შშმ პირის და 1-2 შვილის დედა) უმეტესობა თავად, დახმარების გარეშე უვლის შვილებს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ეხმარება ოჯახის წევრი და მხოლოდ ერთეულები, შედარებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობის მქონენი, სარგებლობენ ძიძის მომსახურებით (პერიოდულად). ყველა მათგანი სარგებლობს, ძირითადად, ბალის და სკოლის მომსახურებით. მათი ნაწილი დიასახლისია, ხოლო დასაქმებულები საუბრობენ ბავშვთა მოვლის სერვისების საჭიროებაზე და იმ პრობლემებზე, რაც დასაქმების შემთხვევაში ბავშვის დატოვებას შეეხება.


რაოდენობრივი მონაცემები ამყარებს თვისებრივი კვლევის შედეგებს. ამ შემთხვევაშიც ყველაზე ხშირად გამოყენებულ სერვისებს შორის გამოიკვეთა სამი: სკოლა (შემთხვევათა 66.1%), ბალი (შემთხვევათა 55.6%), ოჯახის წევრი (შემთხვევათა 24.3%). სულ 10 რესპონდენტია (მათ შორის 6 - დასაქმებული), ვინც სარგებლობს ძიძის მომსახურებით (მონიშნული



აქვს სხვა პასუხებთან ერთად) და ამ 10-დან ერთია ძალადობის მსხვერპლი, 4 - მრავალშვილიანი დედა. დანარჩენი - 1 ან 2 შვილის დედა. თუ რესპონდენტების საერთო რაოდენობას დასაქმების ქრილში განვიხილავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: დასაქმებულთა უმეტესობა - 58% სარგებლობს ბალის მომსახურებით (სხვა სერვისებთან ერთად).


**ღიაბრამა № 4.1.**

*რა დამხმარე სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა გაქვთ, რაც შვილის მოვლაში/ ალზრდაში გეხმარებათ? (შეგიძლიათ მიუთითოთ ორი პასუხი) 534 რესპონდენტი (796 შემთხვევა)*



**ღიაბრამა №4.2.**

*დასაქმებულები, რომლებიც სარგებლობენ, ძირითადად, სკოლის და ბალის მომსახურებით (შემთხვევათა რაოდენობა 395, სულ დასაქმებული რესპონდენტი - 315)*



*შენიშვნა 1: პროცენტული მაჩვენებლები დათვლილია დასაქმებულთა შემთხვევების რაოდენობიდან (395 შემთხვევა).*

*შენიშვნა 2: დასაქმებულ და ბალის მომსახურებით მოსარგებლეთა (შემთხვევათა 42%) შორის ძალადობის მსხვერპლი ქალების 20 შემთხვევაა.*

*შენიშვნა 3: დასაქმებულ და სკოლის მომსახურებით მოსარგებლეთა (შემთხვევათა 58%) შორის ძალადობის მსხვერპლი ქალების 21 შემთხვევაა.*



როგორც თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, ბალის და სკოლის არსებული სერვისები არასაკმარისია ქალთა დასაქმების ხელშეწყობისათვის. დოკუმენტში ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი სირთულეები და ხარვეზები, რაც სერვისების არახელმისაწვდომობას და/ან არარსებობას ახლავს თან და რომლებიც გვევლინებიან როგორც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობის ბარიერები:

**დასაქმების გრაფიკის და ბალის/სკოლის სამუშაო ხანგრძლივობის შეუთავსებლობა.** რეალურად, ქალს უნევს არჩევანის გაკეთება უმუშევრობას და დასაქმებისთვის საკუთარი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გაღებას შორის (კერძო დანესებულების ან ძიძის მომსახურებისთვის). დასაქმების საშუალება შეზღუდული აქვთ იმ ქალებსაც კი, რომლებსაც საკუთარი ბიზნესი და შედარებით მოქნილი გრაფიკი აქვთ, მაგ., 1. ქობულეთში მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელსაც მცირე ბიზნესი და სეზონური სამუშაო აქვს, 2. ვანში, ძალადობის მსხვერპლ ქალს და მარტოხელა დედას, თვითდასაქმებულს - იმ მიზეზის გამო, რომ საბავშვო ბაღი, ძირითადად, 16:00-17:00 საათამდე ფუნქციონირებს. თვისებრივი კვლევის ზოგიერთი მონაწილე ხაზს უსვამს ბალისა და სკოლის არსებული მომსახურებით კმაყოფილებას, თუმცა მიუთითებს, რომ ქალთა დასაქმებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის, აღნიშნული, თუნდაც კარგად მინოდებული სერვისები საკმარისი არ არის. კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის, სასურველია, გაიზარდოს ბაღების სამუშაო საათები (მაგ: 18:00-19:00 საათამდე), ვინაიდან მონყვლადი კატეგორიის დასაქმებული ქალების (რომლებიც, ძირითადად, დაბალ პოზიციებზე და გადატვირთული გრაფიკით მუშაობენ) და სკოლა/ბაღების გრაფიკი სრულიად შეუთავსებელია.

მოუქნელი სამუშაო გრაფიკის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ მშობლებისთვის, ვინც რაიონული ცენტრიდან მოშორებით ცხოვრობს. ძალზე რთულია მშობლისთვის ყოფით პრობლემებთან და ფინანსურ ხარჯებთან გამკლავება, როდესაც არ არსებობს ბავშვთა მოვლის სერვისები მუნიციპალიტეტებში: *„ჩემი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ და დღეს მე მაქვს საშუალება, ლუკმა პური მივცე ჩემს შვილს, მოითხოვს ჩემგან დიდ ძალისხმევას და დროს... მინდა, რომ მქონდეს შესაძლებლობა, ვირჩინო თავი და ვარჩინო ჩემი შვილი. ზაფხულში, როდესაც არ არის ბაღები, სად წავიყვანო ჩემი შვილი? მშობლებს ჩემი ნახვა არ უნდათ, მეუღლეს გამოვექეცი, რა უნდა გავაკეთო ამ შემთხვევაში?“* - ზუგდიდი, ძალადობის მსხვერპლი ქალი (ჩაღრმავებული ინტერვიუ).

პრობლემურია **დამსაქმებლის დამოკიდებულება, როდესაც უმეტეს შემთხვევაში მონყვლად ჯგუფში მყოფი ქალების მდგომარეობა უგულებელყოფილია.** სწორედ აღნიშნულ პრობლემაზეა საუბარი ორგანიზაცია „საფარის“ მიერ განხორციელებულ ანგარიშში, სადაც აღმოსავლეთ ევროპის 9 კომპანიის გენდერული პოლიტიკაა გაანალიზებული. კომპანიები ქალთა გაძლიერების საჭიროებას ვერ ხედავენ და დასაქმების ხელშეწყობა დეკრეტულ შევებულებასთან დამოკიდებულებას არ სცილდება.<sup>41</sup> თვისებრივ კვლევაში ჩართული ზოგიერთი რეს-

41 ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში. არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი (საფარი), თბილისი, 2017, გვ. 40



პონდენტი აცხადებს, რომ მოუქნელი გრაფიკის გამო, მუდმივად უნევთ დამსაქმებლისთვის თხოვნა შეღავათის შესახებ, რაც არასახარბიელოდ აისახება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობაზე. სერვისის მიმწოდებლების ნაწილის და მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ქალების მოსაზრებები სრულად ემთხვევა ერთმანეთს: ისინი მიუთითებენ, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის არსებობს შეღავათი შედარებით მოქნილი გრაფიკის სახით, თუმცა მათაც ექმნებათ პრობლემები. ხოლო მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ქალები, ძირითადად, კერძო სექტორში არიან დასაქმებული, სადაც მათი საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება (სოციალური მუშაკი, „მერკური“).

ქალები მიუთითებენ საკითხის მეორე, ინსტიტუციურ მხარეზე, რომელიც პედაგოგების დაბალ ანაზღაურებას და არასაკმარის ადამიანურ რესურსს უკავშირდება, რაც ფინანსების ნაკლებობითაა გამოწვეული და ხელს უშლის სერვისების განვითარებას: *„მართალია, რჩება რამდენიმე თანამშრომელი (ბაღში, 5 საათის შემდეგ), მაგრამ იმ ანაზღაურებით, რაც აქვთ მათ, ნაკლებად უნდათ, რომ დაიტვირთონ და ეს არც მიკვირს“* - ვანი, მარტოხელა დედა, ძალადობის მსხვერპლი.

„SOS ბავშვთა სოფლის“ ოჯახის გაძლიერების პროგრამის დღის ცენტრის ლიდერი მიიჩნევს, რომ საჯარო ბაღები ნაკლებად პასუხობენ გამართული სერვისის მოთხოვნებს და ამ მხრივ ცვლილებები ვერ მოხდება, თუ ჯგუფები კვლავ დიდი რაოდენობის აღსაზრდელებით დაკომპლექტდება.

**საზაფხულო ბაღების არარსებობა, რომელიც დასაქმების ერთ-ერთ ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება** (როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის), თვისებრივ კვლევაში ჩართული (ჯგუფური დისკუსიის თუ ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით) პრაქტიკულად ყველა მონაწილისთვის მნიშვნელოვანია. მხოლოდ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, დიდ ქალაქში არსებობს საზაფხულო ბაღები (მაგ., ზუგდიდში 2 საზაფხულო ბაღია), რომლებიც მხოლოდ ივნისის თვეში ფუნქციონირებს, რაც არასაკმარისია. კერძო ბაღი კი მონყვლადი კატეგორიისთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელია. მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ **აღნიშნული სერვისი უნდა იყოს უსასყიდლო, სულ მცირე, მონყვლადი ჯგუფებისთვის**. ის რესპონდენტებიც კი, ვისაც საქმიანობიდან გამომდინარე, ზაფხულში არ უნევს მუშაობა, მაგ., სკოლის ექიმი და მანდატური, მაინც საჭიროებენ ბავშვთა მოვლის სერვისებს ზაფხულოებით, მაგალითად, სეზონური დასაქმებისთვის, რაც მათ ფინანსურად მეტად გააძლიერებს - *„რომ ყოფილიყო საზაფხულო ჯგუფები ბაღში, მიფიქრია იმაზეც, რომ დედას დავეუტოვებდი უფრო თამამად ბავშვებს და მყავდა მოაზრებული ახლოს მეზობელი, რომელსაც გადავუხდდი თანხას იმისთვის, რომ ბავშვებს ნაიყვანდა ბაღში და მოუყვანდა დედას. მე კი შემეძლებოდა, რომ რამდენიმე თვე თურქეთში თუ არა, აქ მაინც მემუშავა, ზღვისპირეთში“* - თერჯოლა, ძალადობის მსხვერპლი (სტატუსის გარეშე). კვლევამ გამოკვეთა საზაფხულო ბაღების მომსახურების გაფართოების და ხელმისაწვდომობის გაზრდის საჭიროება, არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიც.

სკოლებთან მიმართებაში, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებით გამოიკვეთა **გახანგრძლივებული ჯგუფების არსებობის საჭიროება**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფები ფუნქციონირებს, თუმცა მომსახურების მისაღებად მშობელს გარკვეული თანხის გადახდა უნევს, რაც აღნიშნულ სერვისს მონყვლადი ჯგუ-

ფებისთვის ხელმიუწვდომელს ხდის. ასევე დასახელდა **საზაფხულო ბანაკების საჭიროება სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის**. როგორც ჩალრმავებული ინტერვიუების რესპონდენტებმა აღნიშნეს, ზოგიერთ მშობელს აქვს უნდობლობა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ბალების მომსახურების მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც კვლევის ყველა მონაწილემ მიუთითა, რომ სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფების/საზაფხულო ბანაკების მომსახურება უნდა იყოს უსასყიდლო, სულ მცირე მონყვლადი კატეგორიისთვის. პრობლემაა ისიც, რომ გახანგრძლივებული ჯგუფების მომსახურების მინოდება, ძირითადად, დიდ ქალაქებში ხორციელდება, ამიტომ, მაგ.,: ძალადობის მსხვერპლ მარტოხელა დედას, რომელმაც ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა, აღნიშნული ფაქტორი აიძულებს უკან დაბრუნებას (სავარაუდოდ, მოძალადესთან შეხვედრის რისკის ფასად), რომ შვილს უკეთესი განათლების მიღების პერსპექტივა შეუქმნას.

დამატებით სირთულეს ქმნის **ძიძის მომსახურების ხელმიუწვდომლობა**. გარდა იმისა, რომ უმეტესობას ფინანსურად არ მიუწვდება ხელი აღნიშნულ მომსახურებაზე, სირთულეს წარმოადგენს რეგიონში კვალიფიციური კადრების მოძიება (ზუგდიდი, ჯგუფური დისკუსია).

მწვავედ დგას ბავშვების **სპორტულ და ხელოვნების მრავალპროფილურ წრეებში ჩართვის** საკითხი და **წრეების გეოგრაფიული სიშორე**. წრეები მონყვლად ჯგუფში მყოფი ქალებისთვის ფინანსურად და/ან გეოგრაფიულად ხელმიუწვდომელია. ოჯახებს, ვინც იყენებს აღნიშნულ სერვისს, ეს ძალზე მძიმე ტვირთად აწვება. არსებული წრეები, ძირითადად, კონცენტრირებულია დიდ ქალაქებში. შესაბამისად, მომსახურების მიღებას, ფინანსურ ხელმიუწვდომლობასთან ერთად, მათი სიშორე და მონყვლადი კატეგორიის ქალების (მით უფრო, დასაქმებულების) შეზღუდული მობილობა აფერხებს. მაგ., მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი, სადაც მონყვლადი კატეგორიის ბავშვებს შეუძლია არაფორმალური განათლების მიღება, გაუმართავი სატრანსპორტო სისტემის და გეოგრაფიული სიშორის გამო შეიძლება ხელმიუწვდომელი აღმოჩნდეს ბევრი მსურველისთვის. **ამიტომ მნიშვნელოვანია, წრეების ფუნქციონირების სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფა** (ამას ადასტურებს მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელიც).

**მორგებული და მოქნილი გრაფიკის მქონე დღის ცენტრების ნაკლებობა/არარსებობა**. მნიშვნელოვანია დღის ცენტრების განვითარება მუნიციპალიტეტის ბაზაზე, სადაც შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, ჩარიცხვისას პრიორიტეტი მიენიჭება ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი). World vision-ის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის ხელმძღვანელი მიუთითებს, რომ საჭიროა მათი ცენტრის მსგავსი, მინიმუმ ერთი დაწესებულება მაინც არსებობდეს ქუთაისში, სადაც ბენეფიციარი მრავალფეროვან და ბავშვზე ინდივიდუალურად მორგებულ მომსახურებას მიიღებს: **„დარწმუნებული ვარ იმაში, რომ (ჩვენი მობილური ჯგუფი დადის ქუჩაში და მთლიანად ფლობს ინფორმაციას) იგივე გადატვირთულობით იმუშავენს, როგორც ამ წუთში მე ვარ. იმიტომ, რომ /აღრიცხვაზე/ ოფიციალურად 20 დღის ცენტრის ბენეფიციარი მყავს, რომელსაც ვაუჩერით გვიფინანსებს სახელმწიფო და რეალურად გყავს 26. ამ თვეში მეტი იყო მოთხოვნა და ალბათ რაოდენობრივად უფრო მეტი გვეყოლება“.**

ბავშვთა მოვლის სერვისების უკმარისობის/ხელმიუწვდომლობის გამო, ქალებს ასევე უწევთ განათლებასა და კარიერულ ზრდა-განვითარებაზე უარის თქმა:



„ბავშვების არდადეგებიც უკვე ჩემთვის მტკივნეული თემა იმდენად არაა. მაგრამ ეს მე გამიმართლა, რომ მოვახერხე ასეთი მორგებული სამსახურის პოვნა. მაგრამ, მეორე მხრივ, მე ჩემს კარიერულ ზრდაზე უარი ვთქვი... იმიტომ, რომ ჯერ ჩემს შვილებს უფრო მეტად ვჭირდები... მე გამიმართლა, ბევრი მშობელი კი ცუდ დღეშია. შეუთავსოს სამსახური და ბავშვის მოვლა, ძალიან რთული თემაა“ - ვანი, მრავალშვილიანი დედა (ჩალრმავებული ინტერვიუ), მუშაობს სკოლაში, ექიმის პოზიციაზე.

„ქვეყანა იმაზე არ ფიქრობს, რომ ამ სერვისების გაუმართაობის გამო, შეიძლება ძალიან კარგი რესურსი დაკარგოს. რამდენი წარმატებით ინსტიტუტდამთავრებული ქალი ზის სახლში და ზრდის შვილებს. არ აქვს კარიერულად განვითარების საშუალება“ - ნალენჯიხა, მრავალშვილიანი დედა (ჩალრმავებული ინტერვიუ).

„ძალიან მონდომებული ვარ, რომ ვისწავლო, დავეუფლო პროფესიას და შემდეგში ამ მიმართულებით დავსაქმდე. მიჭირს, რომ მივიდე სასწავლებელში ლექციებზე. მქონია შემთხვევა, ბავშვებით ხელში დავმჯდარვარ ლექციაზე, ან გარეთ დამიტოვებია პატარა შვილები დიდებთან ერთად... მე ძალიან მინდა, ჩემს შვილებს ჰყავდეთ ძლიერი და დამოუკიდებელი დედა, მაგრამ არის რაღაცები, რაც მიჭირდება, რომ გავძლიერდე. მაგალითად, საზაფხულო ბალები, სკოლებში დამატებითი აქტივობები, ბანაკები ან სხვა“ - სენაკი, მრავალშვილიანი დედა (ჯგუფური დისკუსია).

სერვისის მიმწოდებლების მიდგომა, ძირითადად, თანხვედრაშია მოწყვლადი კატეგორიის ქალების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან. ორგანიზაცია „მერკურის“ სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ბენეფიციარის მიერ სასწავლო კურსების, სტაჟირების გავლა და/ან მუშაობას დაწყება ავტომატურად გულისხმობს დამატებითი სერვისების საჭიროებას, რაც მათი დასაქმების პერსპექტივებს განავითარებს, რადგან ბავშვთა მოვლის სერვისების არარსებობის/ხელმიუწვდომლობის პირობებში თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ ბენეფიციარებს პრობლემები ექმნებათ. ალტერნატივა შესაძლებელია იყოს ფინანსური დახმარება, რაც სხვადასხვა სერვისის მიღებაში დაეხმარება დედებს (მაგალითად, ძიძის აყვანის შესაძლებლობას მისცემს). გარდა ამისა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქალს აქვს საშუალება, იყოს თვითდასაქმებული, მაგრამ შესაბამისი ალტერნატივების შეძენას საჭიროებს, რაც მისთვის ფინანსურად პრობლემას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია მათი გრანტებით მხარდაჭერა საკუთარი საქმის განვითარებისთვის (მრავალშვილიანი დედა ჩოხატაურიდან, დაეუფლა კოსმეტოლოგის პროფესიას, თუმცა ამ ეტაპზე ვერ დასაქმდა შესაბამისი ალტერნატივის არქონის გამო).

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები თვისებრივი კვლევების ჩალრმავებული ინტერვიუებიდან და ჯგუფური დისკუსიებიდან, რომელიც ბავშვთა მოვლის სერვისების განვითარების აუცილებლობას ამყარებს. აღსანიშნავია, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტში, მშობლების გარკვეული ჯგუფის მიმართვამ თვითმმართველობისადმი (ბავშვთა მოვლის დამატებითი სერვისის დანერგვასთან დაკავშირებით) შედეგი გამოიღო და კონკრეტული საბავშვო ბაღის ბაზაზე გაიხსნა ე.წ. ბაგას (2 წლამდე ბავშვების) ჯგუფი, რაც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა მათი ეკონომიკური გაძლიერებისათვის. (ბალდათი, მარტოხელა დედა, ჩალრმავებული ინტერვიუ).

*„მე სახელმწიფო სექტორში ვარ, მაგრამ აქაც დრო არის განერილი და კი შეიძლება, მე 5-მდე ვარ, მაგრამ ბალიც 5-ზე სრულდება და მისვლას ხომ უნდა დრო. ამიტომ დამსაქმებლების კუთხიდანაც არ არის ეს გათვლები სწორად გაკეთებული“ - ვანი, მრავალშვილიანი დედა, დასაქმებული (ჯგუფური დისკუსია).*

*„მე იმ ეტაპზე მიწვედა უარის თქმა დასაქმებაზე, ჩემს პროფესიულ განვითარებაზე... 9 თვის ბავშვს ბალის დაბალ ჯგუფშიც ვერ გავუშვებდი, დამეჩაგრებოდა. არ იცოდა სიარული, არ იცოდა საუბარი, აღმზრდელიც ცოდო იყო და ბავშვიც. რომ არა თვითმმართველობის მზაობა იმისთვის, რომ ასეთ მშობლებს გვერდით დაგვიდგინენ, ბევრი ქალი იქნებოდა უმუშევარი“ - ბაღდათი, მარტოხელა დედა (ჩაღრმავებული ინტერვიუ).*

*„ის დამსაქმებელია და შენ უნდა მოერგო. ან უნდა იყო თვითდასაქმებული და შენ აკონტროლო შენი დრო. მაგრამ ამისთვის კაპიტალი გინდა, უნარებიც. ყველას კი არ შეუძლია, რამე წამოიწყოს თავისთვის. ზუსტად ეს, რომ არ არის ორმხრივი სისტემა გამართული, არც სახელმწიფო სერვისები და არც დამსაქმებლების დამოკიდებულება, ბევრ ქალს ტოვებს დაუსაქმებელს“ - ბაღდათი, ძალადობის მსხვერპლი, სტატუსის გარეშე (ჩაღრმავებული ინტერვიუ).*

თვისებრივი კვლევის ანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსვლა მოწყვლადი კატეგორიის რესპონდენტებსა და იმ სერვისების მიმწოდებლების მოსაზრებებს შორის, რომლებიც სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს წარმოადგენენ: სენაკის ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მოადგილემ, პირიქით - მიუთითეს მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ („საკმარისია და სრულად ფარავს ყველა სოფელს და ქალაქს“). დასაქმების შემზღუდავ გარემოებებს შორის კი მიაჩნდნენ მხოლოდ **ბაგა-ბალის მომსახურების არარსებობის (2 წლამდე ბავშვებისთვის) შესახებ**, რომელიც ასევე რამდენიმე თვისებრივი კვლევის რესპონდენტმა დაასახელა. უფრო მეტიც, სამტრედიის, სენაკის ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მშობლებს ბავშვთა მოვლის სერვისების მიღების საჭიროება არ აქვთ, რადგან შესაბამისი თხოვნით არასოდეს არავის მიუმართავს. ქალების ნაწილს ოჯახის წევრები ეხმარებიან ბავშვის მოვლაში, დასაქმებული ნაწილი კი სარგებლობს კერძო ბაღების ან ძიძის მომსახურებით: *„სამწუხაროდ, არ არის დაყენებული მოთხოვნა ჩვენი მშობლების მხრიდან, რომ მსგავსი საჭიროება აქვთ, თორემ მოთხოვნის და განცხადებების რაოდენობის მიხედვით იცვლება ან იქმნება ახალი სერვისები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და შესაძლებლობის ფონზე“*. უნდა აღინიშნოს, რომ თავად მათი აღიარებით, არ ჩატარებულა საჭიროებათა კვლევა, რადგან დამატებითი სერვისის მიწოდება დამატებით ფინანსებს მოითხოვს, რისი მობილიზებასაც მოცემული მომენტისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს იმერეთის რეგიონული ხელმძღვანელი მიუთითებს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის მიერ საკითხისა და პრობლემების გაცნობიერებაზე და არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის დაგვიანებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობასთან. სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს, World vision-ის წარმომადგენლის აზრით, რომ თვითმმართველობებს ჯერ კიდევ არ აქვთ დაკომპლექტებული ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება. ამიტომ სახელმწიფომ უნდა




შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მულტისექტორული თანამშრომლობის განვითარებას (სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას).

რაოდენობრივი კვლევის შედეგები და გამოვლენილი ტენდენციები ამყარებს თვისებრივ კვლევაში იდენტიფიცირებულ მიგნებებს. დასაქმების ხელის შემშლელ ძირითად ფაქტორებად დასახელდა ფინანსური არასტაბილურობა, მოუქნელი გრაფიკი და ბავშვთა მოვლის სერვისების არარსებობა/ნაკლებობა. ქვემოთ ჩამოთვლილია 4 ძირითადი ფაქტორი: სამუშაო ადგილების სიმწირე (შემთხვევათა 43.3%); მცირე ანაზღაურება (შემთხვევათა 35%); მცირენალოვანი შვილების დედებისთვის ნახევარგანაკვეთიანი სამსახურის ხელმიუწვდომლობა (შემთხვევათა 32.2%); მცირენალოვანი შვილების დატოვების შესაძლებლობის უქონლობა, რის გამოც უწევთ სამსახურზე უარის თქმა (შემთხვევათა 27.9%).

ანალოგიური ტენდენციები ვლინდება ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მარტოხელა დედების ქრილში. თუმცა დევნილების ქრილში შეიმჩნევა ნიუანსური განსხვავება, მაგ., დასაქმების ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორად დასახელდა მცირენალოვანი შვილების დედებისთვის ნახევარგანაკვეთიანი სამსახურის ხელმიუწვდომლობა (40 შემთხვევა, შემთხვევათა 42% დევნილების ჯგუფიდან/შემთხვევათა 7.4% საერთო შერჩევიდან).

**ღიაბრაბა №4.3.**

*ძირითადად, რა ფაქტორი უშლის ხელს მცირენალოვანი შვილების დედებს დასაქმებაში? (შემოხაზეთ თქვენთვის პრიორიტეტული მაქს. 3 პასუხი)  
534 რესპონდენტი (1011 შემთხვევა)*




**ღიაგრამა №4.4.**

*ძირითადად, რა ფაქტორი უშლის მცირეწლოვანი შვილების დედებს დასაქმებაში?*

*დევნილები (95 რესპ.)*

*ძირითადად, რა ფაქტორი უშლის მცირეწლოვანი შვილების დედებს დასაქმებაში?*

*დევნილები (95 რესპ.)*




დასაქმებულ რესპონდენტებთან იკვეთება შემდეგი სამი ძირითადი პრობლემა, რაც კარიერული ზრდის შეფერხებას, მოუქნელ გრაფიკს და ცუდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება: კარიერული ზრდის შესაძლებლობის შეზღუდვა, რადგან ვერ უთავსებენ სამსახურს და შვილების მოვლას (მაგ., ხშირად ამბობენ უარს მივლინებებზე და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში მონაწილეობაზე) - შემთხვევათა 42.6%; ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, რადგან უნევთ მუშაობაც და ბავშვებზე ზრუნვაც (შემთხვევათა 39.6%); სრულ განაკვეთზე მუშაობის შემთხვევაში შვილებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ (შემთხვევათა 38.3%).

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება შემდეგი სხვადასხვა ქრილის მიხედვით: ძალადობის მსხვერპლი ქალები/მარტოხელა დედები, დევნილები, დასაქმებულები და უმუშევრები.



**ღიაბრამა №4.5.**

იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული ხართ 3.2. რა პრობლემებს აწყდებოდით დასაქმების შემთხვევაში? (შესაძლებელია შემოხაზოთ 2 თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული პასუხი)  
**439 რესპონდენტი (638 შემთხვევა)**




რაც შეეხება ბალის/სკოლის გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას - რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ბალი/სკოლა საცხოვრებელ სახლთან ახლოს აქვს (82%), თუმცა 16%-ს შეადგენს (სულ 86 რესპონდენტი) იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვისაც ბალი/სკოლის მომსახურების მიღება გართულებული აქვს გეოგრაფიული სიშორის გამო. 10 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათ დასახლებულ პუნქტში საერთოდ არ არის ბალი/სკოლა. მათ შორის მხოლოდ ორია დასაქმებული, ხოლო 2 - ძალადობის მსხვერპლი (უმუშევარი) და 2 - მარტოხელა დედა (უმუშევარი).

გამოკითხულთაგან 34 დასაქმებული რესპონდენტი ისეთი, ვინც აღნიშნავს, რომ სკოლა/ბალი დასახლებული პუნქტიდან საკმაოდ მოშორებითაა, რაც ართულებს ბავშვის ბაღში/სკოლაში მიყვანას, ხოლო აღნიშნული 34 რესპონდენტიდან 14 არის ძალადობის მსხვერპლი ან მარტოხელა დედა.

**ღიაბრამა №4.6.**

რამდენად ხელმისაწვდომია ბალი/სკოლა თქვენს დასახლებულ პუნქტში?





## ეკონომიკური გააღვივების ხელშეწყობის ფაქტორები

თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქალთა ეკონომიკური გააღვივების და დასაქმების ხელშეწყობისთვის საჭიროა, ძირითადად, ბავშვთა მოვლის ან ახალი სერვისების დანერგვა ან არსებულის განვითარება, რომელთა არასრულყოფილებაზე, არარსებობასა და უკმარისობაზე საუბრობდნენ რესპონდენტები (მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენლები და სერვისების მიმწოდებლები):

- საზაფხულო ბალები და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის - ბანაკების უწყვეტი ფუნქციონირება, სპორტული შეჯიბრებები სკოლის ასაკის მოსწავლეებისათვის;
- მოქნილი სამუშაო გრაფიკი (ის შრომითი უფლებები, რაც საჯარო სამსახურში დასაქმებულ ქალებს აქვთ, გავრცელდეს კერძო სექტორზეც - სოციალური მუშაკი, ორგანიზაცია „მერკური“);
- ბაგა-ბალების მომსახურების შექმნა და განვითარება;
- საბავშვო ბალების სამუშაო საათების ხანგრძლივობის გაზრდა ან სპეციალური ჯგუფების შექმნა მონაცვლადი კატეგორიისთვის, სადაც ბავშვების დატოვების შესაძლებლობა იქნება 19:00-20:00 საათამდე (თუმცა სამტრედიის ა(ა)იპ ბალების გაერთიანების მთავარი სპეციალისტი მიუთითებს, რომ ამგვარი საჭიროება არ დგას);
- სპორტული და ხელოვნების მრავალპროფილური წრეების დანერგვის ხელშეწყობა, მაგ., მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის მსგავსი დაწესებულება, სადაც ერთ სივრცეში იქნება თავმოყრილი სხვადასხვა წრე;
- გახანგრძლივებული ჯგუფების არსებობა სკოლებში და ფსიქოლოგის მომსახურება (უხასყიდლო მოსახურება სულ მცირე, მონაცვლადი ჯგუფის წევრებისთვის);
- დღის ან საღამოს ცენტრები, მორგებული და მოქნილი გრაფიკით;
- დახმარება/შემწეობა მონაცვლადი კატეგორიის დედებისათვის და/ან მათი შვილებისთვის (ძიძის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად);
- მონაცვლადი ჯგუფებისათვის მცირე გრანტების პროგრამის შემუშავება სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის ან თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის; ასევე მოქნილი საკრედიტო სისტემის შეთავაზება;
- კერძო ბიზნესის ცნობიერების ამაღლება და მგრძობელობის გაზრდა მონაცვლადი ჯგუფის ქალების/დედების მხარდაჭერისთვის;
- მარტოხელა დედის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების გადახედვა (სოციალური მუშაკი, ორგანიზაცია „მერკური“): საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც „ჭყავს 18 წლამდე ასაკის შვილი და სტატუსის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მომენტისათვის ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ბავშვის მამის მონაცემები, ან მონაცემების მითითება მოხდა დედის განცხადებით“<sup>42</sup> ორგანიზაცია „მერკურის“ სოციალური მუშაკის აზრით, კრიტერიუმი უნდა ემყარებოდეს დედის ფაქტობრივ მდგომარეობას - რეალურად მარტო ზრდის თუ არა შვილს.

42 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1191<sup>1</sup>. ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2629299?publication=1>



უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი სერვისების განხორციელების ბარიერები ორ ძირითად ფაქტორზე დაიყვანება: ფინანსური რესურსების მობილიზება და სახელმწიფოს მხარდაჭერა (მაგ., კანონების, რეგულაციების შემოღების/დანერგვის და მათი იმპლემენტაციის სახით).

თვისებრივი კვლევის მონაწილეები - როგორც სერვისების მიმწოდებლები, ასევე მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული სერვისების დანერგვა ამავე დროულად მოიაზრებს პედაგოგების ხელფასების გაზრდას და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. სენაკის ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის აზრით, **სწორედ პედაგოგების მცირე ანაზღაურების პრობლემა გამორიცხავს სერვისების განვითარების და/ან ახალი სერვისების დანერგვის შესაძლებლობას** (მაგალითად, სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფების ან სახაფხულო სკოლის ფუნქციონირების უზრუნველყოფა).

ქობულეთში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალი (რომლის მეუღლეს შემაკავებელი ორდერი აქვს გამონერილი) მიუთითებს, რომ არ აქვს საშუალება, ბავშვთა მოვლის სერვისებით ისარგებლოს (ფინანსების ნაკლებობის და დაბალი ინფორმირებულობის გამო), ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობს, რომელიც სპონსორის მოძიებაში ეხმარება. ეს კი დროში გახანგრძლივებულია, ამიტომ მომსახურების ოპტიმალურ დროში მიღებისთვის სასურველი იქნება, თუ ბავშვთა მოვლის მხარდაჭერის სერვისები სახელმწიფოს მიერ იქნება უზრუნველყოფილი.


სამტრედიაში, ჯგუფურ დისკუსიაზე, მარტოხელა დედის მიერ გამოთქმული მოსაზრება ლაკონურად აღწერს საკითხის არსს: „ქალი უნდა იყოს ეკონომიკურად ძლიერი. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ქალის ეკონომიკურ სიძლიერეზე, იგი ოჯახის კეთილდღეობაზე გადის, შვილების კარგად ყოფნაზე და იმის გამო, რომ მას არ აქვს ალტერნატიული სერვისები, ეს ქმნის ბევრ თანხლებ პრობლემას. უნდა მოხდეს შესწავლა, რა საჭიროებები აქვთ ასეთ მშობლებს, გადაიხედოს არსებული სერვისები და განახლდეს“.

რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა შემდეგი 4 ძირითადი სერვისის არსებობის საჭიროება ქალთა ეკონომიკური საქმიანობის და დასაქმების ხელშეწყობისათვის, რომლებიც სრულ თანხვედრაშია თვისებრივი კვლევის მონაცემებთან და ეხება საზაფხულო ბაღების, სკოლების, დღის/სალამოს ცენტრების განვითარებას, ბაღების და სკოლების სამუშაო საათების ზრდას და მონყვლადი ჯგუფებისთვის ეკონომიკური პროგრამების შეთავაზებას: საზაფხულო ბაღების/სკოლების უწყვეტ ფუნქციონირებას და ბავშვთა მოვლის დღის და სალამოს უფასო ცენტრების საჭიროებას თითქმის თანაბარი ხვედრითი წილი აქვს და ყველაზე პრიორიტეტულია საერთო მონაცემების მიხედვით (შემთხვევათა 48%). ამას გარდა, მნიშვნელოვან კატეგორიაში გადის ბაღების და სკოლების სამუშაო დროის გაზრდა 19:00 საათამდე (შემთხვევათა 34.6%) და ძალადობის მსხვერპლი, მრავალშვილიანი, მარტოხელა და სხვა მონყვლადი ჯგუფის ქალებისთვის ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობი პროგრამების შეთავაზება (შემთხვევათა 26%).

საგულისხმოა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების/მარტოხელა დედების ჭრილში, უპირატესობა ენიჭება პასუხის ვარიანტს ბავშვთა მოვლის სპეციალური უსასყიდლო სერვისების (ბავშვის მოვლის დღის და სალამოს ცენტრები) საჭიროების შესახებ (91 შემთხვევა - შემთხვევათა 60% აღნიშნული ჯგუფიდან/შემთხვევათა 17.04% - საერთო შერჩევიდან), რაც არაა გასაკვირი, რადგან მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, პირველი რიგის საჭიროებას წარმოადგენს.


**ღიაბრამა №4.7.**

*ქალთა ეკონომიკური საქმიანობის და დასაქმების ხელშეწყობისთვის რა სახელმწიფო სერვისები უნდა არსებობდეს? (შემოხაზეთ 2 თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული პასუხი) 534 რესპონდენტი (850 შემთხვევა)*



**ღიაბრამა №4.8**

*ძალადობის მსხვერპლი ქალები და მარტოხელა დედები - 150 რესპონდენტი (შემთხვევათა რაოდენობა)*





## 5. პოლიტიკის ალტერნატივები

### 5.1. ალტერნატივა 1: დასაქმება და ოჯახურ ძალადობასთან გამკლავება

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ ეკონომიკური დამოკიდებულება და დასაქმების ხელმიუწვდომლობა ზრდის ძალადობის რისკს და ამცირებს ოჯახური ძალადობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობებს. მაგ., ქობულეთში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალი მიუთითებს, რომ სწორედ მატერიალური ფაქტორის გამო ითმენდა მეუღლის ძალადობრივ დამოკიდებულებას და რომ არა მისი შვილის პროტესტი, კიდევ დიდხანს მოითმენდა. ამას გარდა, მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება, მხარდაჭერისა და ემპათიის ნაკლებობა ძალადობის მსხვერპლის მიმართ და კულტურული სტერეოტიპების გავლენა „ახლაც ბევრი მიჩინებებს, რას იზამ მარტო, სამ ბავშვს რა უნდა უყო - კედლებს ხომ ვერ აჭმევო. იქით კი ბანკის ვალი გვაქვს, საერთო...“.

ძალადობის მსხვერპლი ქალი, შესაძლებელია, იყოს დასაქმებული და მაღალშემოსავლიანიც, თუმცა დაუსაქმებელი, დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ან შემოსავლის გარეშე დარჩენილი ქალი გაცილებით უფრო მოწყვლადია ძალადობრივი გარემოს მიმართ (ვანი, ჯგუფური დისკუსია). ძალადობის მსხვერპლის გაძლიერება ხდება მისი დასაქმებით და შემოსავლის გაზრდით. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ამონარიდი, თუ რას ფიქრობენ ძალადობის მსხვერპლი ქალები ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობის და ძალადობის შემთხვევების ზრდის ურთიერთმიმართების შესახებ:

*„მე მარტო რომ ვყოფილიყავი, გავრისკავდი უფრო ადრეც წამოსვლას, მაგრამ ბავშვების გამო მაინც მქონდა შიში. ამიტომ უნდა იყოს სერვისი რამე ისეთი, რომ ქალს ხელმოსაჭიდი ჰქონდეს, რომ წამოვიდეს და თავი დააღწიოს“ - ბაღდათი, ძალადობის მსხვერპლი.*

*„ბევრ რამეზე ფიქრობ, როგორ არჩინო შვილი, რა გააკეთო, რომ გამოკვებო და მიდიხარ იმ აზრამდე, რომ კიდევ ითმინო და ითმინო... ქალის დასაქმება სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს. აი, მაგალითად, მე ავდექი და წამოვედი, მოვიკრიბე ძალა და ისევ ჩემით დავდექი ფეხზე... როგორც მსხვერპლი, ასე არც სტატუსზე მიზრუნია. ან რას მომცემდა, ვისაც აქვს, იმასაც ვერ აძლევს ვერაფერს“ - ვანი, ძალადობის მსხვერპლი, მარტოხელა დედა.*

*„ჩემს შემთხვევაში წლები მაგიტომაც ვითმენდი ძალადობას, რომ არავის ვუნდოდი სამი შვილით ხელში, ერთხელ წავედი თავშესაფარში, მერე უკან დავუბრუნდი მეუღლეს და ისევ ვითმენდი ძალადობას, სანამ კინალამ არ მომკლა და ისევ არ მივმართე პოლიციას. მე რომ მყოლოდა ოჯახი გვერდში მდგომი, მე რომ მქონოდა სამსახური, წლების წინ წამოვიდოდი და ჩემს შვილებს არ ვაყურებინებდი ჩემს წამებას“ - სენაკი, ძალადობის მსხვერპლი ქალი.*


*„ჩემი მეუღლე არ მაძლევდა უფლებას, მემუშავა და მუდმივად ძალადობდა ჩემზე, არ მქონდა უფლება, მისი ფულით მეყიდა ნივთები ჩემი შვილისათვის და ჩემთვის. როცა გადავედი თავშესაფარში, შევძელი ჩემი შრომით მოპოვებული ფულის დამოუკიდებლად განკარგვა. ჩემი შვილი და მე უფრო კარგად ვართ“ - ზუგდიდი, ძალადობის მსხვერპლი.*

სერვისის მიმწოდებლების უმეტესობის მოსაზრებები პრაქტიკულად არ განსხვავდება მოწვევადი ჯგუფის ქალების მიერ გამოთქმული შეხედულებებისგან. თუმცა შეინიშნება განსვლა ბალების გაერთიანებების (სამტრედიის და სენაკის) წარმომადგენლების მოსაზრებებში - ისინი მუდმივად აპელირებენ იმ ფაქტზე, რომ ბავშვთა მოვლის დამატებითი სერვისების შესახებ განაცხადი არ შესულა მათი უწყების სახელზე და საუბრობენ მხოლოდ ინკლუზიური განათლების პედაგოგების საჭიროებასა და კვალიფიციური კადრის დეფიციტის შესახებ, რაც მიუთითებს ქალთა სპეციფიკური საჭიროებების შესწავლის დეფიციტზე და თავად ქალთა მხრიდან საკუთარი საჭიროებების შესახებ ინიციატივების შეთავაზების დეფიციტზე.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები ცალსახად ამყარებს თვისებრივი კვლევის მონაცემებს და აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა დასაქმების არახელმისაწვდომობა და, აქედან გამომდინარე, ქალის დაბალი ეკონომიკური სტატუსი (75.5%). სხვადასხვა ჭრილში (ასაკი, დასაქმება, სოციალური კატეგორია) გამოვლინდა ანალოგიური ტენდენციები.

**ღიაბრამა №5.1.**


*უნეობს თუ არა ხელს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ზრდას ქალთა დასაქმებისადმი ხელმიუწვდომლობა? 534 რესპონდენტი*



შესაბამისად, ასევე რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ დედებისთვის შვილების მოვლის დამხმარე სერვისების არსებობა ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას (83.3%). სხვადასხვა ჭრილში (ასაკი, დასაქმება, სოციალური კატეგორია) გამოვლინდა ანალოგიური ტენდენციები.

**ღიაბრამა №5.2.**

*დედებისთვის შვილების მოვლის დამხმარე სერვისების არსებობა ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას? 534 რესპონდენტი*






*შენიშვნა: 5 რესპონდენტი მიუთითებს - „არა“. მათ შორის 3 დასაქმებულია, 2 ძალადობის მსხვერპლი (მათგან 1 დასაქმებული), 3 - ერთი ან 2 შვილის დედა.*

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია პასუხის ვარიანტის „ნაწილობრივ“ განაწილება სოციალური კატეგორიის მიხედვით:

### დიაგრამა №5.3.

*დედებისთვის შვილების მოვლის დამხმარე სერვისების არსებობა ხელს შეუწყობს „ნაწილობრივ“ (84 რესპონდენტი)*



თავშესაფარში ყოფნისას სერვისების მიღების შესაძლებლობა: იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აქცენტი განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიაზე კეთდება, პოლიტიკის ალტერნატივის განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს თავშესაფარში მყოფი (ან თავშესაფრიდან უკვე გასული) ქალები და მათი დასაქმების პერსპექტივები. თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციარს სჭირდება მხარდაჭერა, გაძლიერება, სხვადასხვა პროექტში ჩართვა, რომ ისევე არ დაბრუნდეს ძალადობრივ გარემოში (World vision-ის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის ხელმძღვანელი).

ერთი მხრივ, თავშესაფარი სთავაზობს ქალებს გადამზადების კურსებს, სწავლობს მათ უნარებს და განვითარება/დასაქმების პერსპექტივებს (ორგანიზაცია „მერკური“ - სოციალური მუშაკი). გადამზადების შემდეგ ბენეფიციარები კერძო სექტორში საქმდებიან ორგანიზაციის დახმარებით: *„ზუგდიდი პატარა ქალაქია და ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა და საკმაოდ კოორდინირებულად ვმუშაობთ, ყველა ყველას იცნობს და არ გვიჭირს კერძო სექტორშიც მსურველი და უნარიანი ადამიანების დასაქმება...“* დასაქმების ან სწავლის შემთხვევაში ბენეფიციარები თავშესაფარში ყოფნისას ერთმანეთს ეხმარებიან ბავშვის მოვლაში. თუმცა თავს იჩენს პრობლემები სამი მიმართულებით:

1. ბენეფიციართა დაბალი ინფორმირებულობის დონე - მაგ., სენაკში მცხოვრებმა ქალმა მიუთითა, რომ თავშესაფარში ყოფნისას მისთვის არავის შეუთავაზებია პროფესიის დაუფლება და არც თავად ფლობდა ინფორმაციას პროფესიის დაუფლების ან დასაქმების შესაძლებლობის შესახებ;
2. თავშესაფრიდან გასვლის შემდგომ, ბავშვთა მოვლის სერვისების სიმწირის ან არახელმისაწვდომობის, ასევე მოუქნელი სამუშაო გრაფიკის გამო, დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდვა (აღნიშნული პრობლემა ორგანიზაცია „მერკურის“ სოციალური მუშაკის თქმით, შესაძლოა თავშესაფარში ყოფნის დროსაც წარმოიქმნას - მცირენაირი პატრონმა თავშესაფრის პირობებში ვერ მოახერხოს გადამზადების კურსის გავლა (კი);
3. თავშესაფარში განთავსების არასაკმარისი ვადა ბენეფიციართვის დამოუკიდებელი ცხოვრების გასაგრძელებლად. აღნიშნული ვადის განმავლობაში და ხშირად მისი გასვლის შემდეგაც მონყვლადი ჯგუფის ქალების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალება, რომ არ დაბრუნდეს მოძალადესთან (რისი ფაქტებიც არსებობს თავშესაფრიდან გამოსული ქალების ცხოვრებაში<sup>43</sup>).

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია სერვისების გამრავალფეროვნებით მულტისექტორული თანამშრომლობით. შესაძლებელია, თავშესაფარს დაემატოს სხვა სერვის(ებ)ი - მაგ., ორგანიზაცია „მერკური“ სამომავლოდ ფიქრობს ძიძის მომსახურების დამატებას. თუ განვიხილავთ შვედეთის მაგალითს, თავშესაფრები ქალებს სთავაზობენ მხარდაჭერის სხვადასხვა ალტერნატივას. მნიშვნელოვანია, რომ მათ დაფინანსების სხვადასხვა მოდელი გააჩნიათ. თავდაპირველად თავშესაფრები მოხალისებრივ საწყისზე შეიქმნა, მაგრამ სახელმწიფოს თანამონაწილეობამ პოზიტიური როლი ითამაშა მათ განვითარებაში<sup>44</sup>. აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, ადგილობრივი ორგანიზაციები (მაგ., World Vision-ის მიუსაფარ ბავშვთა და SOS ბავშვთა სოფლის ოჯახის გაძლიერების პროგრამის დღის ცენტრები), შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს თანამონაწილეობის (თანადაფინანსების) და მულტისექტორული მიდგომის ერთგვარი „ჩარჩო“, რომელზეც შეიძლება გარკვეული მოდელის აგება ბავშვთა მოვლის სერვისების გაუმჯობესების და განვითარების მიზნით.

43 ქობულეთი, ძალადობის მსხვერპლი ქალი (მეუღლეს შემაკავებელი ორდერი ჰქონდა გამონერილი) - ფონდი „სოხუმის“ მიერ შემთხვევის შეფასება: მერიის ჩართულობა იყო მინიმალური, აღნიშნეს, რომ ქალი მსხვერპლად აღარ ითვლებოდა, ვინაიდან შემაკავებელ ორდერს გაუვიდა ვადა. მსხვერპლი თანახმა იყო, მიეღო დაზარალებულის სტატუსი ფონდი „სოხუმის“ დახმარებით, იმ პირობით, რომ არ მოხდებოდა მისი სტატუსის გასაჯაროება, ემზადებოდა განქორწინებისთვის, აგროვებდა დოკუმენტაციას. ამჟამად, არსებული ინფორმაციით, მსხვერპლი შეურიგდა მოძალადეს და მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება. სოციალური თანადგომის ქსელი, რომელიც შეიქმნა დაზარალებულის ირგვლივ, მხოლოდ საკონსულტაციო და ფსიქოემოციური რეაბილიტაციის კუთხით იყო ხელშეხება. მან ვერ მიიღო ვერანაირი მატერიალური მხარდაჭერა, გრძელვადიანი პერსპექტივა, რაც, სავარაუდოდ, გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი.

44 Exploring Best Practices in Combatting Violence Against Women: Sweden Committee on Women's Rights & Gender Equality. Policy Department for Citizen's Rights and Constitutional Affairs. Directorate General for Internal Policies of the Union. PE 604.958 April 2018, p.22. ხელისაწვდომია - [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2018/604958/IPOL-IDA\(2018\)604958-EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2018/604958/IPOL-IDA(2018)604958-EN.pdf)



## 5.2. ალტერნატივა 2: ბავშვთა მოვლის სერვისების გავლენა ოჯახში ძალადობის პრევენციაზე. პრობლემატიკა/ინსტიტუციური მიდგომა

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა ბავშვთა მოვლის სერვისების განვითარების/დანერგვის პოზიტიური გავლენა ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის. იგი წარმოადგენს დასაქმების და ეკონომიკური გაძლიერების სტიმულს მონაცვლადი კატეგორიის ქალებისათვის. დაუსაქმებელი და ეკონომიკურად სუსტი ქალი, რომელსაც აქვს შვილების მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე დარჩენის შიში, იძულებულია, აიტანოს ძალადობრივი გარემო. ქალების დასაქმების ხელშეწყობა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს (ჯგუფური დისკუსია, სენაკი). მეორე რიგის ამოცანაა - ბავშვთა მოვლის დამხმარე სერვისების დანერგვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორშიც. სასურველია, თუ მოხდება წამახალისებელი აქტივობების დანერგვა კერძო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მონაცვლადი კატეგორიის ქალების დასაქმებას შეუწყობენ ხელს.

კვლევამ აჩვენა ოჯახური ძალადობის პრევენციისთვის საჭირო კიდევ ერთი კომპონენტის აუცილებლობა: საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება - სწორედ დაბალი ინფორმირებულობის გამო ვერ მიიღო კვლევაში მონაწილე რამდენიმე ძალადობის მსხვერპლმა ქალმა მონაწილეობა დასაქმებისა და პროფესიის დაუფლების პროგრამაში (თავშესაფარში ყოფნის დროს); ხოლო კულტურული სტერეოტიპები და სტიგმატიზაცია პირდაპირ პროპორციულია საზოგადოების მხრიდან ძალადობის მსხვერპლის მიმართ დაბალი მგრძობელობის და ძალადობრივ გარემოსთან შემგუებლობის, რასაც საბოლოო ჯამში მიყვავართ ვიქტიმიზაციასთან. შესაბამისად, მხოლოდ ბავშვის მოვლის სერვისების გაუმჯობესება ვერ შეცვლის სიტუაციას, თუ არ მოხერხდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა (კანონის ძალით, შესაბამისი ღონისძიებების გატარებით და ა.შ.).

შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა მოვლის სერვისების გაუმჯობესება და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (რაც ძალადობის პრევენციას ახდენს) ურთიერთდამოკიდებული ფაქტორებია. სახელმწიფოს მხარდაჭერა, ქალთა დასაქმების ხელშეწყობა სერვისების გაძლიერების საშუალებით, გავლენას ახდენს ცნობიერებაზე და, მეორე მხრივ, ცნობიერების შეცვლა აძლევს ქალებს განვითარების სტიმულს.

*„ხშირად მეკითხებიან, განქორწინებას რომ ვაპირებ, როცა ვაჟდერებ - შერიგებას გამოირიცხავო? ანუ იმ კუთხით, რომ არ უნდა იყოს ეს ადამიანი ოჯახში, საშიშია მისი ბავშვებთან ურთიერთობა. მე მთლად ყველაფერი არ გამიჟღერებია, როცა ორდერი გამონერეს, ქობულეთი პატარა ქალაქია და არ მინდა თითოთ საჩვენებელი გახდნენ ჩემი ბავშვები“.* მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალი თითქოს კატეგორიულია მოძალადესთან ურთიერთობის განახლებაზე, მაინც იკვეთება საზოგადოების მხრიდან (მეუღლის ნათესავები) მოძალადესთან შერიგების ალტერნატივაზე, რასაც თავადაც არ გამოირიცხავს, რადგან მან არ იცის, რა სერვისების მომსახურებით შეუძლია ისარგებლოს და არ იცის, თუ ვერ დასაქმდა, როგორ მოიქცეს. *„ახლა კი ვარ იმ ჭკუაზე, რომ გამორიცხულია იმ ადამიანს ფეხის შემობიჯება ამ კედლებში, რომ ისევ ძალადობა არ განმეორდეს, მაგრამ აი, მართლა რომ არანაირად არაფერი იქნეს არსაიდან, კაციშვილი მე არ მბაბდია, რა უნდა ვქნა... მე ნახევარი არ ვიცი, რა სერვისები არსებობს, რა უნდა მოვითხოვო... არასამთავრობო ორგანიზაცია რომ არ იყოს, რაც გავაკეთე, იმასაც ვერ გავაკეთებდი... იმდენი საფიქრალი მაქვს, მეშინია, ტვინი არ ამერიოს...“*




ბაღდათში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალი კი აღნიშნავს, რომ თუ ეცოდინებოდა ბავშვთა მოვლის სერვისების არსებობის შესახებ, უფრო ადრე გადადგამდა ნაბიჯს ძალადობრივი გარემოდან თავის დასაღწევად.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა (69.1%) ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და, შესაბამისად, ძალადობის პრევენციას უფრო „გლობალურ“ ქრილში ხედავს: სახელმწიფოს მხრიდან უსასყიდლო მხარდაჭერის სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც გაზრდის ქალების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, არ უნდა იყოს პრიორიტეტული მხოლოდ რომელიმე ცალკეული ჯგუფისთვის, არამედ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ქალისთვის, რომელიც მას საჭიროებს (თვისებრივი კვლევის ზოგიერთი რესპონდენტი სწორედ ამას მიუთითებდა). დაახლოებით მეოთხედი კი სწორედ მონყვლადი ჯგუფების ბავშვთა მოვლის სერვისების საშუალებით მეტად მხარდაჭერაზე აკეთებს აქცენტს (25.8%). ანალოგიური ტენდენციები გამოვლინდა სხვადასხვა ქრილის მიხედვით (ძალადობის მსხვერპლი ქალები/მარტოხელა დედები; დასაქმებულები და უმუშევრები; დევნილები).

**ღიაბრამა №5.4.**

*როგორ ფიქრობთ, უფასო სახელმწიფო დამხმარე სერვისებით ყველა მცირეწლოვანი ბავშვის დედა უნდა სარგებლობდეს თუ მხოლოდ მონყვლადი ჯგუფები (მაგ., მარტოხელა/მრავალშვილიანი დედები/ძალადობის მსხვერპლი ქალები)? 534 რესპონდენტი*



**5.3. ალტერნატივა 3: ახალი სერვისების დანერგვა/არსებულის გაძლიერება, რაც შესაძლებელია, კანონის საშუალებით განისაზღვროს და დარეგულირდეს**

თვისებრივმა კვლევამ (მონყვლადი კატეგორიის ქალები და სერვისების მიმწოდებლები) გამოავლინა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ კანონით განსაზღვროს ბავშვთა მოვლის დამხმარე გარკვეული სერვისების დანერგვა. საჭიროა, თავდაპირველად ქალთა საჭიროებების შესწავლა და გაანალიზება და შემდგომ კონკრეტული ფუნქციების განსაზღვრა სხვადასხვა უწყებისათვის და უფლებამოსილებების გადანაწილება (თუმცა ზოგიერთი მონაწილე საფრთხის შემცველად მიიჩნევს, კერძო ბიზნესს საკანონმდებლო დონეზე მოეთხოვოს შეღავათების დაწესება ქალთა გარკვეული კატეგორიებისთვის, რადგან დამსაქმებლისთვის მომგებიანი აღარ იქნება ქალი თანამშრომლის დასაქმება).




შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) შედარებით ანალიზში გვთავაზობს ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელშემწყობ სხვადასხვა მექანიზმს: ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, როგორც ოჯახი-სამსახურის დაბალანსების კარგი საშუალება; არასრული სამუშაო დღის „ნორმალიზება“, ე.ი. მოქნილი სამუშაო გრაფიკი, რომელიც ხელს შეუწყობს კარიერულ ზრდას. აღნიშნულის საპირისპიროდ განხილულია „არახელსაყრელი“ სამუშაო პირობები (**“Family-unfriendly” working conditions**) - ხანგრძლივი და მოუქნელი სამუშაო გრაფიკი, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმებულთა პროდუქტიულობაზე. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საოჯახო საქმეების ტვირთი, ძირითადად, ქალებს აწევთ, ისინი ირჩევენ არაფორმალურ დასაქმებას ან არასრულ სამუშაო საათებს, რაც ხელს უშლის მათ პროფესიულ ზრდასა და განვითარებას.

კვლევის შედეგები მიუთითებს იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება სასურველია დარეგულირდეს კანონის საშუალებით:

- **მოქნილი სამუშაო გრაფიკი მონყვლადი ჯგუფებისთვის** (ძალადობის მსხვერპლი/მარტოხელა/მცირეწლოვანი შვილების დედები) - არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორში დასაქმებულთათვის (შრომის კოდექსის საშუალებით); რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რაც დამსაქმებელმა შეიძლება განახორციელოს, არის მცირეწლოვანი შვილების მშობლებისთვის შრომის კანონმდებლობით განმტკიცებული არჩევანის უფლება, იმუშაონ სრული ან ნახევარი განაკვეთით (**41.4%**); ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა ქრილების მიხედვით - ძალადობის მსხვერპლი/მარტოხელა დედა და დასაქმებული/უმუშევარი.

#### ღიაბრაზა №5.5.

*მცირეწლოვანშვილებიანი დედებისთვის დამსაქმებელმა რომელი სერვისი უნდა უზრუნველყოს? (534 რესპონდენტი)*



- ფფიქრობ, დამსაქმებელმა უნდა წახალისოს მცირეწლოვანი შვილების დედების ნახევარი განაკვეთით დასაქმების შესაძლებლობა;
- ფფიქრობ, მცირეწლოვანი შვილების მშობლებს უნდა ჰქონდეთ შრომის კანონმდებლობით განმტკიცებული არჩევანის უფლება, რომ იმუშაონ სრული ან ნახევარი განაკვეთით;
- ფფიქრობ, ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაო გრაფიკის შეთავაზება გაზრდის ქალთა დასაქმების პერსპექტივებს და ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

- დღის ცენტრების განვითარება და გაფართოება (სახელმწიფოს თანამონაწილეობით) - სადაც არა მხოლოდ განათლებას მიიღებენ, არამედ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საშუალება იქნება ბავშვებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ძალადობრივ გარემოს დააღწია თავი;
- მონყვლად კატეგორიაში შემავალი ქალების პროფესიული გადამზადება;
- პედაგოგების ანაზღაურების გაზრდა, ბავშვთა მოვლის სერვისების გაუმჯობესებისათვის - (ბაღის და სკოლის სამუშაო საათების გაზრდა);
- შემწეობის დანიშვნა ბავშვებისათვის (რომ არ იყვნენ აღიშნულზე დამოკიდებული);
- ვაუჩერული სისტემის დანერგვა - მაგ., მერია უზრუნველყოფს დღის ცენტრის ვაუჩერებით მონყვლადი კატეგორიის ბავშვებს/დედებს (ვაუჩერის საჭიროებას შეისწავლის სპეციალური კომისია).

სერვისის მიმწოდებლები, მაგ., სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი და ორგანიზაცია „მერკური“ სოციალური მუშაკი მიუთითებენ, რომ კანონში ცვლილებების საფუძველზე კონკრეტული პასუხისმგებლობების დაკისრების გარეშე ვერ ხედავენ აღნიშნული ინიციატივების დანერგვის პერსპექტივას.

*„შრომის კოდექსი ეხება ყველა დამსაქმებელს და არა მარტო სახელმწიფოს და ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს მოთხოვნა კერძო ბიზნესისგან, რომ მან რაღაც შეღავათები გაითვალისწინოს მცირეწლოვანი, მარტოხელა, ძალადობის მსხვერპლი და მრავალშვილიანი დედებისათვის, ვისაც ამ კუთხით ხელშემწყობი არ ჰყავს ოჯახში“ - ზუგდიდი, ერთი შვილის დედა (ჯგუფური დისკუსია).*

*„ესენი არიან სტიგმის მქონე ქალები, არ აქვთ ბრძოლის უნარი. უფრო მარტივად ნებდებიან. არ აქვთ ფსიქოლოგიური მზაობა... უნდა ჰქონდეთ ფსიქოლოგის კონსულტაციები, უნდა იყოს ქალთა ოთახები. უნდა ითანამშრომლონ კერძო ბიზნესთან. მისთვის/სახელმწიფოსთვის/შშმ პირთა დასაქმება თუ კარგ ტონად ითვლება, ამ ქალების დასაქმებაც უნდა გახდეს საინტერესო“ - ბაღდათი, დანყებითი კლასების პედაგოგი (ინტერვიუ).*

*„სახელმწიფოს ბაზაზე უნდა მოხდეს/ბავშვთა მოვლის/სერვისების შექმნა. უნდა განისაზღვროს, კონკრეტულად ვინ განახორციელებს ამ მოვალეობას და, ჩემი აზრით, ყველაზე ოპტიმალური იქნება ამ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართვა და მათი პროგრამების განვითარება“ - ორგანიზაცია „მერკური“, სოციალური მუშაკი.*

*„კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს, რომ დამსაქმებელს არ ჰქონდეს კონკრეტული მსხვერპლის შრომის ბოროტად გამოყენების უფლება“ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი (მაგ., ხელშეკრულების გარეშე ან გამოსაცდელი ვადით დასაქმება, როდესაც არსებობს საფრთხე, გათავისუფლების შემთხვევაში მონყვლადი კატეგორიის ქალი ანაზღაურების გარეშე დარჩეს).*



## დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის საჭიროა რიგი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გატარება, რომლებიც დასაქმების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ეს უკანასკნელი კი, რაც ძალადობის პრევენციის მთავარი ნინაპირობაა. მონყვლადი კატეგორიის ქალებისთვის ბავშვის მოვლის სერვისების დანერგვა/განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მულტისექტორული მიდგომის განხორციელებით - სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობის გზით. ბავშვის მოვლის სერვისების ბარიერების (დაბალი ხელმისაწვდომობა, მოუქნელი გრაფიკი, არასაკმარისი დაფინანსება და ადამიანური რესურსი, საკანონმდებლო ხარვეზები, დამსაქმებლების დაბალი მგრძობელობა მონყვლადი ჯგუფების მიმართ და ა.შ.) დაძლევა შესაძლებელია ცნობიერების ამაღლებით (კულტურული სტერეოტიპების დაძლევა), მონყვლადი კატეგორიის ქალებზე მორგებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებით და, შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების უწყვეტი ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფით, სერვისის მიმწოდებელთა გადამზადებით და კვალიფიკაციის ამაღლებით.

## რეკომენდაციები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების/მარტოხელა დედების უფრო ეფექტური მხარდაჭერისათვის საჭიროა დამატებით შემდეგი ნაბიჯების გადადგმა (რომლებიც მოიაზრებს მულტისექტორული მიდგომების განხორციელებას და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყების თანამშრომლობას).

### მუნიციპალიტეტებს:

#### ბავშვთა მოვლის მხარდაჭერის სერვისების განვითარების/დანერგვის ხელშეწყობა

დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა/გადამზადების პროგრამის გაძლიერება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული (და კანონით გათვალისწინებული), რომ არ მოხდეს მონყვლადი კატეგორიის ქალის შრომის უკანონო გამოყენება, მაგ., გამოსაცდელი ვადით დასაქმება და შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლება ანაზღაურების გარეშე.

მონყვლადი ჯგუფების საცხოვრისით უზრუნველყოფა - (i) სასურველი იქნება ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს საკუთარი სოციალური საცხოვრისი (World vision-ის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის ხელმძღვანელი) და გათვალისწინებული იყოს კვოტა გარკვეული გონივრული ვადით ბენეფიციარების მისაღებად, რაც საკმარისი იქნება მონყვლადი კატეგორიის ქალისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების გასაგრძელებლად (ii) ყველა მუნიციპალურ პროგრამასა და ბიუჯეტში ბინის ქირით უზრუნველყოფის გათვალისწინება მონყვლადი კატეგორიის ქალებისათვის.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში უკვე არსებული საცხოვრისი/ბინის ქირით უზრუნველყოფით წინაპირობა უშუალოდაა დაკავშირებული (i) ძალადობის მსხვერპლის კონკრეტულ მუნიციპალიტეტში რეგისტრაციასთან, (ii) ძალადობის მსხვერპლის/მარტოხელა დედის სტატუსის მიღებასთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაუქმდეს არსებული ბარიერები (რაც გამართივებს მონყვლადი ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მომსახურებების მიღებას): ა) ძალადობის მსხვერპლის კონკრეტულ მუნიციპალიტეტში რეგისტრაციასთან და ძალადობის მსხვერპლის/მარტოხელა დედის სტატუსის ქონასთან დაკავშირებით; ბ) მათ ჰქონდეთ აღნიშნული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა კონკრეტულად განსაზღვრული კანონის მიერ მინიჭებული სტატუსის შესაბამისად და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საჭიროა საკითხზე მუნიციპალიტეტების კოორდინირებული მუშაობა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (მაგ., მემორანდუმის სახით).

**ბავშვთა მოვლის სერვისების განვითარების ალტერნატივა - თანხის/შემწეობის გაცემა მონყვლადი კატეგორიის ბავშვისთვის/მშობლისთვის, რაც შესაძლებელს გახდის, მაგ., ძიძის მომსახურების მიღებას (თუ გარდაუვალი აუცილებლობაა, ან სხვა მომსახურების მიღება შეუძლებელია).**

**ბავშვთა მოვლის დღის ან/და საღამოს ცენტრების თანადაფინანსება (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მართული ცენტრების სუბსიდირება, რაც სერვისების განვითარების და გამრავალფეროვნების შესაძლებლობას შექმნის) ან სრულად მუნიციპალურ ბალანსზე აყვანა.**

**ვაუჩერული სისტემის დანერგვა** დღის ცენტრების უწყვეტი მომსახურებისთვის (მუნიციპალიტეტების მიერ თანადაფინანსების უზრუნველყოფა).

მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის ფორმატზე შეთანხმება და რესურსების კონსოლიდაციის გზით საერთო გამოწვევებზე რეაგირება (**ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა**). მაგალითად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არარეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამის ხელმისაწვდომობა; ბავშვთა მოვლის სერვისების ერთობლივი დაფინანსება/თანადაფინანსება, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მოვლის ოთახების გახსნის ხელშეწყობა და დაფინანსება.

**სოციალური მომსახურების მიღების გამართივება მონყვლადი კატეგორიის ქალებისთვის.** მომსახურების მისაღებად მონყვლადი კატეგორიის ქალს უფლებამოსილი პირის თანხმობა არ უნდა სჭირდებოდეს (თუ თავად არ არის განმცხადებელი) და ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში ჰქონდეს განაცხადის წარდგენის საშუალება სოციალური მომსახურების მისაღებად.

**ცნობიერების ამაღლების კამპანიის ხელშეწყობა**, როგორც ოჯახური ძალადობის, ასევე ძალადობის მსხვერპლისთვის გათვალისწინებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებისათვის. ასევე დამსაქმებლების მხრიდან მონყვლადი კატეგორიის ქალებისადმი მგრძობილობის გაზრდისთვის. **ერთ-ერთი საშუალებაა წარმატებული მაგალითების რეკლამირება და თანასწორთა განათლების მსგავსი მეთოდის გამოყენება.**



## ქალთა ეკონომიკური გააქტიურების ხელშეწყობა

- ქალების ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით მენარმეობის და ბიზნესპროექტების მართვის უნარ-ჩვევების განსავითარებელი ტრენინგების და ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამების შეთავაზება.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღების დათმობა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისა და იმ ხელის შემშლელი ფაქტორებისთვის, რომლებიც აფერხებს ეკონომიკურ პროექტებში ქალების მონაწილეობას.
- ეკონომიკური პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირების და პროექტებში მონაწილეობისადმი მათი დაინტერესების მიზნით, მუნიციპალიტეტში დაინერგოს შესაბამისი საკონსულტაციო სერვის-ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალებისთვის (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფისთვის, მარტოხელა/მრავალშვილიანი დედები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები) - სახელმწიფო თუ ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, კონკურსის პირობების დეტალურ ახსნას და განაცხადის შევსებაში პრაქტიკული დახმარების განევას.

## საბავშვო ბაღების გაართიანება:

მოხდეს ბაგა-ბაღების სერვისის განვითარება (შესაძლოა წინასწარ შესწავლილი საჭიროებების მიხედვით).

შემუშავდეს სქემა საბავშვო ბაღების სამუშაო საათების გახანგრძლივებისთვის (სულ მცირე, მოწყვლადი ჯგუფებისთვის) საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსის მოძიებისათვის. შესაბამისად, განისაზღვროს გახანგრძლივებული საათებით მოსარგებლეთა კატეგორიები და აღნიშნული სერვისის მიმღებთა შეფასების კრიტერიუმები.

განისაზღვროს საზაფხულო ბაღების ჯგუფების საჭირო რაოდენობის დადგენის წესი (მაგ., საჭიროებათა კვლევა და ა.შ.) და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.

## განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

შემუშავდეს სქემა სკოლების სამუშაო საათების გახანგრძლივებისთვის (სულ მცირე, მოწყვლადი ჯგუფებისთვის) საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების მოძიებისათვის. შესაბამისად, განისაზღვროს გახანგრძლივებული საათებით მოსარგებლეთა კატეგორიები და აღნიშნული სერვისის მიმღებთა შეფასების კრიტერიუმები.

განისაზღვროს საზაფხულო სკოლების ჯგუფების საჭირო რაოდენობის დადგენის წესი (მაგ., საჭიროებათა კვლევა და ა.შ.) და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსები. სასურველია, უწყვეტმა საზაფხულო სერვისებმა შეძლებისდაგვარად ფართოდ მოიცვას რეგიონები (არა მხოლოდ ცენტრალური ქალაქები).

ინკლუზიური საჭიროების ბავშვებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალური საჭიროების პედაგოგების ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. განხორციელდეს

ბენეფიციარების საჭიროებათა კვლევა, რომელიც დაადგენს, თუ რამდენად აფერხებს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების მიღებას სხვადასხვა ბარიერი (მათ შორის სპეციალური საჭიროების პედაგოგების ნაკლებობა). კვლევის შედეგების საფუძველზე განისაზღვროს სამოქმედო სტრატეგია.

## ოჯახური ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ხელშეწყობა.

### საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს:

განხორციელდეს სპორტული და სახელოვნებო მრავალპროფილური წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სულ მცირე მონყვლადი კატეგორიისთვის გახდეს უსასყიდლო (ან სიმბოლური ღირებულების).

განხორციელდეს მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის მსგავსი დაწესებულებების ხელშეწყობა და განვითარება - ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მონყვლადი კატეგორიის ქალებისა და მათი შვილებისათვის შემუშავდეს სქემა, რომელიც მობილობის შეზღუდვის პრობლემას გადაჭრის (მაგ., სპორტულ და სახელოვნებო მრავალპროფილურ წრეებში ჩასართავად ტრანსპორტის თანხის დაფინანსება ან/და უზრუნველყოფა).

### პროფესიულ სასწავლებლებს:

განხორციელდეს პროფესიული სასწავლებლების მიერ ძიძების, ბაგა-ბაღის აღმზრდელების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. შესაბამისი სასწავლო მოდულის შექმნა განვითარება.

განხორციელდეს ინკლუზიური განათლების პედაგოგების გადამზადება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სერვისის სრულყოფილად მიწოდების მიზნით.

მოხდეს პროფესიული განათლების მიღების მსურველი მონყვლადი კატეგორიის ქალებისთვის, ბავშვთა მოვლის ოთახების და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მოქნილი სასწავლო გეგმის შეთავაზება.

### სახელმწიფო და კერძო სექტორის დამერიკავებელს:

განხორციელდეს მოქნილი გრაფიკის შეთავაზება მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის (კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდგომ).

გათვალისწინებულ იქნას დისტანციური მუშაობის შესაძლებლობა და მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენელს მიეცეს საშუალება, საჭიროების მიხედვით განახორციელოს დაკისრებული ვალდებულებები სამუშაო ადგილზე ან დისტანციურად (თუ დასაქმებულის პროფესია იძლევა ამის საშუალებას).

შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელდეს ბავშვთა მოვლის ოთახების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილზე ან მის სიახლოვეს.



შემუშავდეს მონყვლადი კატეგორიის ქალების მხარდამჭერი სერვისი/სპეციალური პროგრამა (არჩევითი ფინანსური პაკეტი): კომპენსაციის გაცემა ბავშვის მოვლის გამო; თანადაფინანსების შეთავაზება იმ სერვისების გამოყენებისას, რომელთა მისაღებად გარკვეული გადასახადია დაწესებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ძიძის მომსახურების უზრუნველყოფის დაფინანსება (სრულად ან ნაწილობრივ).

არასტანდარტული სამუშაო გრაფიკის მქონე, მონყვლადი კატეგორიის ქალებისათვის შემუშავდეს **სპეციალური მხარდამჭერი პაკეტი**, რაც აერთიანებს რამდენიმე შესაძლებლობას: ნაწილობრივ ან სრულად (დროის გარკვეულ მონაკვეთში) დისტანციური მუშაობის შეთავაზება, ბავშვთა მოვლის სერვისების შერჩევაში დახმარება (მაგ., შერჩევის პროცესში და/ან ფინანსურად), კომპენსაციის გაცემა ან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება ბავშვის ავადობის შემთხვევაში.

### საქართველოს პარლამენტს:

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციებისთვის ცვლილებები უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე და ერთნაირად ეხებოდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორს<sup>45, 46, 47</sup>:

მოხდეს მოქნილი გრაფიკის შეთავაზება მონყვლადი ჯგუფებისათვის (ძალადობის მსხვერპლი ქალები/მარტოხელა დედები/მრავალშვილიანი დედები) დასაქმების ხელშესაწყობად, მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, რაც გულისხმობს არა მხოლოდ დისტანციური მუშაობის არჩევანს (სადაც შესაძლებელია), არამედ არასრულ სამუშაო განაკვეთს და/ან ბავშვთა მოვლის სერვისების გრაფიკთან შესაბამისობას.

შემუშავდეს დამსაქმებლებისკენ მიმართული, მონყვლადი კატეგორიის ქალების საჭიროებაზე მორგებული **სპეციალური პროგრამა/მხარდამჭერი სერვისი** – რაც საშუალებას მისცემს მშობელს (მონყვლადი კატეგორიის ქალს), ბავშვის ავადობის ან არდადეგების პერიოდში მიიღოს დღის ცენტრის მომსახურება.

ბავშვის ავადობის შემთხვევაში დასაქმებულ, მონყვლადი კატეგორიის ქალს (ძალადობის მსხვერპლი მარტოხელა დედა/მრავალშვილიანი დედა) მიეცეს **დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება (7-14 დღის ვადით)**, სანამ ბავშვს შეუსრულდება 14 წელი. განხორციელდეს ცვლილების ინიცირება (საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი 24, პუნქტი 6). აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარეობს უკრაინის წარმატებული გამოცდილებიდან.

45 აღნიშნული რეკომენდაციები გამომდინარეობს ამერიკის და უკრაინის წარმატებული გამოცდილებიდან.

46 Good practices and challenges on the Maternity Protection Convention, 2000 (No. 183) and the Workers with Family Responsibilities Convention, 1981 (No. 156): A comparative study. Working paper 2/2012, p.142-150. ხელმისაწვდომია - <https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms-192554.pdf>

47 MEETING THE NEEDS OF TODAY'S WORKFORCE: CHILD CARE BEST PRACTICES U.S. Department of Labor Alexis M. Herman, Secretary 1998. პ. 5-25. ხელმისაწვდომია - <https://files.eric.ed.gov/fulltext/ED433139.pdf>



მონყვლადი კატეგორიის ქალს (ძალადობის მსხვერპლი/მარტოხელა დედა/მრავალშვილიანი დედა) მიეცეს დამატებითი შესვენებით სარგებლობის უფლება, სანამ ბავშვს შეუსრულდება 3 წელი. ამას გარდა, შემცირებული სამუშაო დღე ჩაეთვალოს სრულ სამუშაო დღედ.

საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებელს დაევალოს მონყვლადი კატეგორიის ქალებისთვის (ძალადობის მსხვერპლი/მარტოხელა დედა/მრავალშვილიანი დედა): (i) ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შეთავაზება და (ii) დამატებითი ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება (არა უმეტეს 10 სამუშაო დღის) მონყვლადი კატეგორიის იმ ქალებისთვის, ვისაც 14 წლამდე ან შშმ პირი ბავშვი ჰყავთ.

### **საქართველოს მთავრობას:**

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ახალ სამოქმედო გეგმაში მეტი აქცენტი გაკეთდეს ქალის ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ქალთა საჭიროებაზე მორგებული, ბავშვთა მოვლის არსებული მომსახურებების გაძლიერების და ახალი სერვისების დანერგვის ხელშეწყობაზე.



## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული მასალა

1. ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“);
2. გაეროს კონვენციის „ბავშვთა უფლებების შესახებ“;
3. გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;
4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია „დასაქმების პოლიტიკის შესახებ“;
5. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
6. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;
9. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
10. საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“;
11. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
12. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის.

### სახელმძღვანელოები, კვლევები და ჟურნალური ნაშრომები

1. კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, გვ.51-52;
2. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017;
3. საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში, 2020;
4. საია, „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები“, თბილისი, 2019 წ., გვ. 7;
5. ფონდი „სოხუმი“, „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თვითმმართველობების როლი და პრაქტიკა“, გვ. 49, 53;
6. ფონდი „სოხუმი“, „მსხვერპლისთვის არსებული სერვისების მონიტორინგი“, გვ. 14, 16, 28, 36, 57;

7. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში, 2015, გვ. 4-7;
8. Review of evaluation approaches and methods used by interventions on women and girls' economic empowerment. Georgia Taylor and Paola Pereznieto. March 2014. p. 13;
9. Progress on women's empowerment from technical fixes to political action Tam O'Neil, Pilar Domingo and Craig Valters. November 2014. p. 3-9;
10. Women's economic empowerment – Good practices from National employers' organizations & partner companies. p. 8-10;
11. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, UN Women 2017, გვ. 6-19;
12. სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის, თბილისი, 2014 წ., გვ. 6, გვ. 27-34;
13. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, იანვარი, 2018. გვ. 28;
14. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში (women's economic inactivity and informal employment), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), თბილისი, საქართველო, 2018, გვ. 6-9;
15. ფონდი „სოხუმი“, მსხვერპლისთვის არსებული სერვისების მონიტორინგი, გვ. 15;
16. ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკფაქტორები ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, 2017 წ., გვ. 3-9;
17. MEETING THE NEEDS OF TODAY'S WORKFORCE: CHILD CARE BEST PRACTICES U.S. Department of Labor Alexis M. Herman, Secretary 1998. პ. 5-25;
18. Good practices and challenges on the Maternity Protection Convention, 2000 (No. 183) and the Workers with Family Responsibilities Convention, 1981 (No. 156): A comparative study. Working paper 2/2012, p. 6-16 p.142-150;
19. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში, არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი (საფარი), თბილისი, 2017, გვ. 40;
20. Exploring Best Practices in Combatting Violence Against Women: Sweden Committee on Women's Rights & Gender Equality. Policy Department for Citizen's Rights and Constitutional Affairs. Directorate General for Internal Policies of the Union. PE 604.958 April 2018, p.22.



**კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“**

**მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობდა  
ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:**

**ნინო კორინთელი**

**ლიდა ჩიხლაძე**

**ეკატერინე ბამახარია**

**მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:**

**ქუთაისის სათაო ოფისის**

**მონიტორინგის ჯგუფის წევრები:**

**ემა კამკია, გურანდა გვანცელაძე, თეა გოლეტიანი**

**რედაქტორი - ლალი შენგელია**

**დამკაბადონებელი - ლია კოსტავა**

მისამართები:

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2  
ქ. ქუთაისი, მაგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: [fundsukhumbilisi@gmail.com](mailto:fundsukhumbilisi@gmail.com)  
[womansukhumi@gmail.com](mailto:womansukhumi@gmail.com);

ვებგვერდი: [www.fsokhumi.ge](http://www.fsokhumi.ge)

ფეისბუქგვერდი: [www.facebook.com/fsokhumi/](https://www.facebook.com/fsokhumi/)